ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირაკლი ავალიშვილი

საქართველოს პოლიტიკურ-პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში, (2003–2018 წლების გამოცდილების ანალიზი)

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზვიად აბაშიძე

სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი შექმნილია, საქართველოს პოლიტიკური პარტიული სისტემის ანალიზის საფუძველზე. თანამედროვე პირობებში დემოკრატიული საზოგადოება წარმოუდგენელია პოლიტიკური პარტიების გარეშე. ისინი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მუდმივი თანმხლებნი არიან, შესაბამისად მათი განხილვა პოლიტიკის მეცნიერებაში ყოველთვის აქტუალური იქნება. პოლიტიკური პარტიების არსებობას საქართველოში ხანგძლივი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ 19 საუკუნის ბოლოდან იწყება საქართველოში პოლიტიკური პარტიების სპექტრის ჩამოყალიბება, რათქმაუნდა საწყის ეტაპზე პარტიების საქმიანობა არ იყო ლეგალური, უკვე 1905–1907 წლებიდან, რუსეთის რევოლუციის შემდეგ კი მათი საქმიანობა უკვე კანონიერი ხდება. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში 190 მდე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიაა, თუმცა რეალურად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მხოლოდ რამდენიმე მათგანია ჩართული. მიუხედავად პარტიების სიმრავლისა, არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა პარტიულ სისტემებთან მიმართებაში.

ნაშრომში გამოკვეთილია ის, თუ რა განაპირობებს, პოლიტიკურ პარტიათა სისტემის სუსტ ინსტიტუციონალიზაციას, და შემდგომში რა კავშირშია იგი დომინანტური სისტემის შექმნასთან.თანამედროვე, კლასიკურ დემოკრატიულ საზოგადოებებში, თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია ორი ან მეტი ძლიერი პოლიტიკური პარტია, შესაბამისად საზოგადოების მხარდაჭერის განაწილება დომინანტური მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას გამორიცხავს. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა დამეხმარა გამომეკვეთა, ის ძირითადი პრობლემატური ასპექტები, რომელიც პოლიტიკურ პარტიულ სისტემას აქვს საქართველოში, რაც თავის მხრივ აფერხებს სისტემის გამართულად მუშაობას.

Abstract

The Following work is based on analysis of Georgian political parties. In todays (contemporary) terms, democratic society is inconceivable without political parties. They always are with political and social life, there for they will always remain as a main topic. Political history has been in Georgia for decades, composition of political parties began in the end of 19th century, of course at the beginning if was not legal, from 1905-1907, after Russian revolution it became legal. In Georgia approximately there are 190 political parties, but in reality there are only few parties that are actively involved in country's politics. In spite of multiplity of parties there are numerous problems. The main reason why I investigated this research to examine main problems in system of political parties. In today's democratic society, there always are presented two or more political parties in society, there for distribution of society supporters expels the creation of one-party system. My research has helped me to understand, the main problems in Georgian political parties

სარჩევი

თავი 1 22

1.1 პოლიტიკურ პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაცია 22

1.2 პოლიტიკურ-პარტიული სისტემის დომინანტური ხასიათი 25

თავი 2 30

2.1 პოლიტიკური პარტიათა პერსონიფიცირება საქართველოში 30

2.2 კომუნიკაციის საკითხი ქართულ პოლიტიკაში. 38

2.3 პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობა, კავშირი კლასიკურ იდეოლოგიებთან 47

2.4 პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების საკითხი 53

დასკვნა 62

ბიბლიოგრაფია 64

დანართი N1 67

შესავალი

დემოკრატიულ საზოგადოებებში, პოლიტიკური პარტიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ, ისინი არიან ხალხის წარმომადგენლები. იმის გათვალისწინებით, რომ უკვე დიდი ხანია თანმედროვე დემოკრატიამ უარი თქვა ე.წ პირდაპირობაზე და იგი წარმომადგენლობითი სახის გახდა, ნათელია ის მისია, რომელიც ეკისრება პოლიტიკურ პარტიებს, შესაბამისად მათი სრულყოფილი სახით მუშაობა არის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი ამა თუ იმ საზოგადოების შეფასებისას.

პოლიტიკურ–პარტიული სისტემის კუთხით, საქართველოს მაგალითი სპეციფიკურია. საქართველოში დარეგისტრირებულ პარტიათა რაოდენობა 190ს აღემატება, [1]თუმცა ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს – უფრო ძველი და კონსოლიდირებული ტიპის დეომოკრატიებშიც პარტიათა რაოდენობა, შესაძლოა საკმაოდ მაღალი იყოს. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში პარტიათა მაღალი რიცხვი, ავტომატურად არ მიუთითებს მრავალპარტიული სისტემის არსებობაზე. მრავალპარტიულ სისტემებში საზოგადოებრივი მხარდაჭერა ისე ნაწილდება, რომ გამარჯვებული პარტია იძულებულია სხვა პარტიასთან შექმნას კოალიცია. საქართველოში საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრილი პარტიები, ჩვეულებრივ დიდი უმრავლესობით იმარჯვებენ არჩევნებში: ეს კი თავის მხრივ, სხვა პარტიებთან თანამშრომლობის საჭიროებას გამორიცხავს.

ბოლო თხუთმეტი წლის გამოცდილება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ქართული პოლიტიკური სისტემა დავახასიათოთ, როგორც ე.წ „მრავალპარტიული დამარცხებული სისტემა“. სხვა სიტყვებით – „დომინანტური პოლიტიკურ–პარტიული სისტემა.“ მსგავს სისტემაში ერთი პარტია ჩვეულებრივ, დიდი უმრავლესობით იმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში, ერთპიროვნულად აკომპლექტებს სახელმწიფო ინსტიტუტებს.

---

[1] ალვარო სკოლბახი, გია ნოდია (2006) – „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“ (გვ 5–6)

ხშირად რთულია შეამჩნიო განსხვავება, სახელისუფლებო და პარტიულ ბიუროკრატიას შორის. ასეთი ტიპის სისტემებში, ოპოზიციური პარტიებიც არსებობენ : ისინი მონაწილეობენ გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებში, დღის წესრიგში აყენებენ სხვადასხვა საკითხებს და ძირითად შემთხვევებში აკრიტიკებენ ხელისუფლების გადადგმულ ნაბიჯებს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, თუმცა სერიოზული პოლიტიკური ძალის მქონე ორგანიზაციად, არცერთი ოპოზიციური პარტია არ აღიქმება.

ცალსახად, ფაქტია ის, რომ ქართულ რეალობაში პოლიტიკური პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი საკმაოდ სუსტია, ეს კი ჩემი აზრით გარკვეული პრობელმატური ასპექტებითაა განპირობებული. კვლევის მიმდინარეობისას ნათლად დავინახე ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც სახეზეა ქართულ პოლიტიკური პარტიებთან მიმართებაში. 1)პოლიტიკურ ლიდერთა პერსონიფიცირება 2)კომუნიკაციის ნაკლებობა 3)მკვეთრი აცდენა პარტიის საქმიანობასა და იდეოლოგიას შორის 3)პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი. ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც ახალისებს პარტიული სისტემის სუსტ ინსტიტუციონალიზაციას, და შესაბამისად ხელს უწყობს დომინანტური სისტემის ჩამოყალიბებას.

როგორც შესავალ ნაწილში ავღნიშნე, პოლიტიკური პარტიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ, საზოგადოების განვითარების პროცესში, ამავდროულად პოლიტიკური პარტიული სისტემა არის ერთ–ერთი ინდიკატორი დემოკრატიის, როგორც მმართველობის ფორმის შეფასებისას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ რეალობაში არაერთი კვლევა გაკეთებულა, თუმცა უშუალოდ დომინანტური სისტემის კვლევის სრულ სურათს არცერთი მათგანი არ გვაძლევს. შესაბამისად, ჩემი კვლევა წარმოადგენს ერთგვარ სიახლეს, რომელიც ახალი ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო იქნება. მეცნიერული მეთოდების გამოყენებით შევეცდები ავხსნა მიზეზ–შედეგობრივი კავშირები და შეძლებისდაგვარად წარმოვადგინო სურათი, რომელიც აანალიზებს ქართული პარტიული სისტემის პრობლემურ ასპექტებს.

თუ არ ჩავთვლით კვლევებსა და ანგარიშებს ამ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ერთ–ერთი ფუნდამენტური შრომის ავტორია გია ნოდია, რომელიც თავის წიგნში „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“[2] აანალიზებს, ქართული პოლიტიკის მახასიათებლებებს. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პარტიული კვლევა ამ ნაშრომში ერთ–ერთი ქვეთავია და იგი არ იძლევა სრული შეფასების საშუალებას.

დამოუკიდებლობის მცირე ხნიანი გამოცდილების გამო, საქართველოს დღემდე აქვს მთელი რიგი პრობლემები, პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. ამიტომაც შეფასებისას ხშირად იყენებდნენ ტერმინებს „დეფექტური დემოკრატაია“, ჰიბრიდული რეჟიმი და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში ქართულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს სჭირდება საფუძვლიანი გაჯანსაღება, რაც პირველ რიგში მოითხოვს კვლევას, საკითხის არსის გააზრებას და შემდგომში მისი შეცვლისთვის მზაობის დაფიქსირებას.

თუ დამოუკიდებლობის შემდგომ პარტიულ გამოცდილებას დავაკვირდებით, ცალსახაა ის ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიები გათანაბრებულია სახელმწიფო ბიუროკრატიებთან, და ეს ერთობლივად მომუშავე „მანქანის“ როლში გვევლინება. რაც თავის მხრივ აფერხებს სისტემის გაჯანსაღების პროცესს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით აუცილებელია შესწავლილ იქნეს გამომწვევი მიზეზები, დადგინდეს ის თუ რა ფაქტორები ახალისებს სუსტ ინსტიტუციონალიზაციას, და რატომ ხდება სისტემა დომინანტური. ვფიქრობ, ამ საკითხების მეცნიერული ანალიზი მოგვცემს საშუალებას გამოიყოს ძირითადი პრობლემატური ასპექტები და შემდგომში დაიწყოს ამ მიმართულებით მუშაობა, სისტემის უკეთ ფუნქციონირებისათვის.

კვლევის მიზანი გახლდათ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სისტემის ინსტიტუციონალიზმის გაანალიზება, რათა დადასტურებული ან უარყოფილი იქნას, ნაშრომის დაშვება, რომელიც გულისხმობს, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიული

[2] ალვარო სკოლბახი, გია ნოდია (2006) – „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“

სისტემის დომინანტური ხასიათი, სწორედ პარტიათა სუსტი ინსტიტუციონალიზაციით არის განპირობებული. ამ დაშვების საფუძველზე იკვეთება სხვა ვარაუდებიც, კერძოდ საუბარია ოთხ ძირითად პრობლემატურ ასპექტზე, 1.პერსონიფიცირება, 2.პარტიული კომუნიკაციის საკითხი 3.პარტიათა დაფინანსების პრობლემატური ასპექტები, 4.იდეოლოგიური აცდენა, ჩემი აზრით ისინი, განაპირობებს პარტიული სისტემის სუსტ ინსტიტუციონალიზაციას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დომინანტური პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას. შესაბამისად კვლევის მიზანს ამ საკითხების უშუალო ანალიზი წარმოადგენს. პირველ რიგში დანახვებული იქნება ის, თუ როგორ უკავშირდება ზემოთ აღნიშნული სისტემის სუსტ ინსტიტუციონალიზაციას, და როგორ ხსნის გზებს დომინანტური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისაკენ.

კვლევის ამოცანებს, წარმოადგენს შემდეგი საკითხების შესწავლა:

- განისაზღვროს, რას გულისხმობს სისტემის ინსტიტუციონალიზაცია.
- უნდა გაანალიზდეს დომინანტური პოლიტიკური პარტიული სისტემის არსი.
- დადასტურდეს ან უარყოფილი იქნეს დაშვება, რომ პარტიათა სუსტი ინსტიტუციონალიზაცია ახალისებს დომინანტური პარტიული სისტემის შექმნას.
- დაშვების საფუძველზე, წარმოდგენილია ვარაუდები, რომ პარტიული სისტემის პერსონიფიცირება, დაფინანსების პრობლემატური ასპექტები, კომუნიკაციის დაბალი ხარისხი, და იდეოლოგიური აცდენა, ასუსტებს ინსტიტუციონალიზაციას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დომინანტური სისტემის შექმნას.

ანალიზისათვის საჭირო **საკვლევი შეკითხვა** მდგომარეობს შემდეგში:

მიუხედავად, მრავალი პოლიტიკური პარტიის არსებობისა, საქართველოში, რითია განპირობებული ერთი რომელიმე პარტიის დომინანტური სტატუსი, პარტიულ სისტემაში. დემოკრატიული მმართველობის უმთავრესი იდეა, „მრავალთა“ მმართველობაა,

საქართველოში კი დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სახეზე გვაქვს რეალობა, როცა გადაწყვეტილებების მიმღებებად გვევლინება, ან ერთი ადამიანი, ან ერთი პარტიის შიგნით მყოფი ადამიანთა ჯგუფი. სწორედ დემოკრატიული ღირებულების მთავარ იდეასთან შეუთავსებლობის გამო არის საკვლევი კითხვა ამგვარად ფორმულირებული. იგი შესაძლებლობას იძლევა შემდგომში ზუსტად იქნას გამომწვევი მიზეზები იდენტიფიცირებული. უფრო მეტად კონკრეტიკისათვის, ჩამოყალიბებულია ქვეშეკითხვები: განაპირობებს, თუ არა პარტიული სისტემის. სუსტი ინსტიტუციონალიზაცია, დომინანტური პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას? ხელს უწყობს თუ არა პერსონიფიცირების საკითხი, კომუნიკაციის პრობლემა, დაფინანსების პრობლემატური ასპექტები და იდეოლოგიური აცდენა დომინანტური სისტემის შექმნას?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კვლევის **ჰიპოთეზა :**

რაც უფრო სუსტია, პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, მით უფრო ხალისდება დომინანტური პარტიული სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში. ქვეშეკითხვების საპასუხოდ, ჩამოყალიბებულია კონკრეტული ვარაუდები, ქვეჰიპოტეზების სახით :პოლიტიკურ პარტიათა ინსტიტუციონალიზაცია, მისი ხარისხი განსაზღვრავს სისტემის ნაირგვარობას. ქართული პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციაში პერსონიფიცირების საკითხი, კომუნიკაციის პრობლემა, დაფინანსების პრობლემატური ასპექტები და იდეოლოგიური აცდენა, ახალისებს დომინანტური სისტემის არსებობას.

რაც შეეხება **ცვლადების ოპერაციონალიზაციას** : ჩემს კვლევაში დამოუკიდებელ ცვლადია, პარტიათა ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, გულისხმობს, პარტიათა შორის ურთიერთქმედებას, გარდა ამისა პარტიის და საზოგადოებას შორის ძლიერი კავშირების არსებობას. სისტემამ, რომ სწორად და გამართულად იმუშაოს აუცილებელია სისტემის შემადგენელი ნაწილები ჯანსაღად თანამშრომლობდნენ, არამარტო სისტემის შიგნით არამედ სისტემის გარეთაც ანუ საზოგადოებასთან მიმართებაში. შესაბამისად, კონკრეტული ცვლადი გაზომილია შემდეგი ინდიკატორით, დიუვერჟეს პარტიული

პოლიტიკის შესწავლისას გამოიყოფა ორი ძირითადი ასპექტი : პირველი პროგრამული და იდეოლოგიური კავშირები, ამომრჩეველსა და პარტიებს შორის სტაბილურობის გარანტია და მეორე კავშირები ამომრჩეველსა და პარტიებს შორის უფრო პერსონალური თუ იდეოლოგიური. დიუვერჟეს ეს თეორია აანალიზებს რა პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ამ ასპექტებს, ასკვნის, რომ ინსტიტუციონალიზაციის მაღალი ხარისხის მიღწევა სწორედ ამ ორის საფუძველზეა შესაძლებელი.

გარდა ამისა, დამოუკიდებელი ცვლადის ოპერაციონალიზაციისას, გაზომვის პროცესათვის გამოვიყენე სკოტ მაივინგი და ტორკალის შრომა, სადაც ისინი გამოყოფენ პარტიული ინსტიტუციონალიზაციის კლასიკურ მახასიათებლებს (1.პარტიათა რაოდენობა 2.პარტიული ფესვების სიღრმე საზოგადოებაში. 3. პოლიტიკური პერსონები, პარტიული პროგრამების საპირწონედ). ავტორები ამბობენ, რომ მაღალი ხარისხით ინსტიტუციონალიზებულ სისტემები სწორედ ამ მახასიათებლებით გამოირჩევიან. შესაბამისად, ჰიპოთეზის გადამოწმებისას, ანუ იმის დასადგენად თუ რა ტიპის შემთხვევასთან გვაქს საქმე, საქართველოს მაგალითზე და რამდენად შესაბამისობაშია ქართული სისტემა კლასიკურთან ეს ინდიკატორი სწორი ანალიზის საფუძველს იძლევა.

კვლევის ჰიპოთეზაში მეორე დამოკიდებული ცვლადია, დომინანტური პოლიტიკურ–პარტიული სისტემა, რადგან იგი განპირობებულია ინსტიტუციონალიზაციის ხარისხით. ეს ცვლადი გავზომე ორი საინტერესო დაკვირვების საფუძველზე : 1)2003–2018 წლებში ჩატარებული საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შედეგები. 2)გადაწყვეტილების მიმღები პარტიათა რაოდენობა, თითოეული არჩევნების შემდეგ (2003–2018)

კვლევის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებული იქნება, დიუვერჟეს, პოლიტიკურ პარტიათა ურთიერთქმედების თეორია.[3] დიუვერჟე იყო ერთ–ერთი პირველი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა პოლიტიკური პარტიების რაობას და სისტემის ნაირგვარობას.

[3] Mainwaring, Scott and Scully, Timothy R. (1995) 'Party systems in Latin America

დიუვერჟე ამ თეორიაში ანვითარებს პოზიციას, რომ პოლიტიკური პარტიების ურთიერთქმედება ერთმანეთში და გარეთ, განაპირობებს სისტემის ამა თუ იმ სახით ჩამოყალიბებას. ავტორი ამტკიცებს, რომ ინსტიტუციონალიზაციაზე ყურადღების გამახვილების გარეშე, შეუძლებელია პარტიული სისტემის მახასიათებლების გააზრება.

დიუვერჟეს ამ თეორიის გარდა, ნაშრომში გამოყენებული იქნება სკოტ მეინვერინგის და მარიანო ტორსალის ნაშრომი პარტიათა ინსტიტუციონალიზაციის შესახებ.[4] სადაც ისინი ანვითარებენ ორ ემპირიულ მტკიცებას. პირველი პროგრამული და იდეოლოგიური კავშირები, ამომრჩეველსა და პარტიებს შორის სტაბილურობის გარანტია და მეორე კავშირები ამომრჩეველსა და პარტიებს შორის უფრო პერსონალური(პერსონიფიცირებულია) განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე მაღალ განვითარებულ, ინდუსტრიულ დემოკრატიებში. საინტერესოა, ამ ორი ემპირიული მტკიცების ავტორებისეული დასკვნა, სადაც ისინი ამბობენ, რომ სუსტი ინსტიტუციონალიზაცია უარყოფითად აისახება საარჩევნო ანგარიშვალდებულებაზე, სუსტად ინსტიტუციონალიზებული საარჩევნო სისტემები უფრო მოწყვლადია და უშვებს, ანტიპარტიული სუბიექტების ხელისუფლებაში მოსვლას.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მიმდინარეობისას, გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის რამდენიმე მეთოდი, რათა მომხდარიყო ცვლადების გაზომვა და საბოლოო შედეგის ანალიზი.[5] კვლევაში გამოყენებულია შემდეგი სახის მეთოდი. 1. სიღრმისეული ინტერვიუ საკითხის ექსპერტებთან და ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. 2. პოლიტიკურ–პარტიული სისტემის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და კვლევების ანალიზის მეთოდი. სიღრმისეული ინტერვიუ, ინფორმაციის შეგროვების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. რომლის

---

[4] Mainwaring, Scott P. (1999) Rethinking Party Systems in the Third Wave of Democratization, Stanford University Press.

[5] ზურაბიშვილი, თ. (2006) - თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი CSS “

საშუალებითაც, ხდება რესპოდენტისგან ამომწურავი სრული ინფორმაციის მიღება, რის შედეგადაც ხდება გარკვეული ტენდენციის გამოვლენა. სიღრმისეული ინტერვიუ ტარდება წინასწარ შესწავლილი, განსახილველი თემის გარშემო, წინასწარ შედგენილი კითხვების და მათი თანმიმდევრული მონახაზის საფუძველზე. ვფიქრობ, ეს მეთოდი ყველაზე მეტად ინფორმაციულია კვლევისას, განსაკუთრებით ჩემი კვლევის ფარგლებში, რომელიც ეხებოდა პოლიტიკურ პარტიებს. პარტიული თანამშრომლების სიღრმისეულად გამოკითხვა იძლევა შესაძლებლობას, შეიქმნას გარკვეული სურათი მათი დამოკიდებულების, ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. კვლევის ფარგლებში, გამოკითხული იყვნენ საკითხის ექსპერტები, რომელთა შერჩევა მოხდა მათი კვალიფიკაციის მიხედვით. გარდა საკითხის ექსპერტებისა, კვლევაშ მონაწილეობა მიიღეს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, პარტიების შერჩევა მოხდა ბოლო 2018 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით.

თვისებრივი კვლევის შედეგი შეიძლება ითქვას, რომ ვერ იქნება რეპრეზენტატული გარკვეული თემების შემთხვევაში, თუმცა როცა საუბარია პოლიტიკურ პარტიულ სისტემაზე, ვფიქრობ, რომ ეს მეთოდი ყველაზე უფრო კარგად და ნათლად ხსნის სისტემის რაობას, შესაბამისად მან მომცა შესაძლებლობა გადამემოწმებინა ჩემს მიერ დასმული ჰიპოთეზა და წარმომდეგინა შესაბამისი კვლევის შედეგი.

ინსტიტუციონალიზაციის საკითხი საკმაოდ კომპლექსური შეიძლება იყოს, და ბევრ ასპექტს მოიცავდეს. ჩემი კვლევის შემთხვევაში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია, ოთხ მნიშვნელოვან საკითხზე: 1)პოლიტიკურ ლიდერთა პერსონიფიცირება 2)კომუნიკაციის ნაკლებობა 3)მკვეთრი აცდენა პარტიის საქმიანობასა და იდეოლოგიას შორის 4)პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი. როგორც შესავალ ნაწილში ავღნიშნე კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის დაყრდნობით, კერძოდ ერთ–ერთი მეთოდი იყო სიღრმისეული ინტერვიუ. წინასწარ შედგენილი შეკითხვების საფუძველზე კითხვები დაესვა საკითხის ექსპერტებს და ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს. სწორედ იმიტომ, რომ გაანალიზებულიყო მათი დამოკიდებულება ამ ოთხი საკითხის გარშემო, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს ინსტიტუციონალიზაციის

ხარისხს. ჩემი აზრით ჩატარებული ინტერვიუები არის დამატებითი სიახლე კვლევაში რადგან, იგი უშუალოდ იძლევა ხელშესახებ ცოდნას იმ პირებისგან, რომლებიც მონაწილეობენ პარტიული სისტემის ამა თუ იმ სახით ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება **ლიტერატურის მიმოხილვას**. ნაშრომზე მუშაობისას გაავაანალიზე რამდენიმე ავტორის თეორიული ცოდნა, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა პოლიტიკურ პარტიათა სისტემის ინსტიტუციონალიზაციას. ინსტიტუციონალიზაცია, ეხება პროცესს, რომლითაც პრაქტიკა, ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი ხდება კარგად ჩამოყალიბებული, ფართოდ ცნობილი და ორგანიზებული. პოლიტიკაში ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს, რომ პოლიტიკურ აქტორებს ნათელი და სტაბილური მოლოდინი აქვთ სხვა აქტორების ქცევის მიმართ. ჰანტიგტონი (Huntington) მიიჩნევდა, რომ ინსტიტუციონალიზაცია არის პროცესი, რითაც ორგანიზაციები და პროცედურები იძენენ ღირებულებებსა და სტაბილურობას.[6] კარგად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში, ამბობს ჰანტიგტონი მოქმედებს წინასწარ შეთანხმებული თამაშის წესები, კონკურენცია უფრო მეტად ჯანსაღია და აქტორთა ქცევა განსაზღვრული.

მეინვერინგი და სქალი აყალიბებს პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციისთვის აუცილებელ ოთხ განზომილებას.[7] პირველ რიგში ისინი გამოყოფენ პარტიული სისტემის შიგნით კონკურენციის ხარისხს. ეს ინსტიტუციონალიზაციის შესაფასებლად ყველაზე ადვილი განზომილებაა და ალბათ ყველაზე მნიშნველოვანიც, რადგან ინსტიტუციონალიზაცია თავისი შინაარსით მჭიდროდ უკავშირდება სტაბილურობის საკითხს. აღნიშნული თეორია საინტერესოა ჩემს კვლევაში, რადგან იგი პირდაპირ გვთავაზობს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომლითაც უნდა

[6] Huntington, Samuel P. 1968. Political Order in Changing Societies. New Haven: Yale University Press

[7] Mainwaring, Scott and Timothy R. Scully, eds. 1995. Building Democratic Institutions: Party Systems in Latin America. Stanford, CA: Stanford University Press.

შეფასდეს პარტიათა სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი. როგორც ვხედავთ პირველივე განზომილებად ავტორები აყალიბებენ პარტიათა კონკურენციის დონეს, რომელიც შემდგომში სტაბილურობასთანაა კავშირში. ქართულ რეალობაში პარტიათა შორის კონკურენცია თითქმის არ არსებობდა წლების განმავლობაში, რაც კვლევის ფარგლებში ზუსტად იქნება დანახვებული. 2003–2018 წლებში ქართული პარტიული სისტემის შიგნით ერთი პარტია იყო დომინირებული, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა ობიექტური გარემოებებით. მეინვერინგის და სქალის პირველივე განზომილება უგულებელყოფილი იყო. სავარაუდოა, რომ ეს იყო ერთ–ერთი მიზეზი სუსტი ინსტიტუციონალიზაციისა.

მეორე და მნიშვნელობანი განზომილება მეინვერინგის და სქალის მიხედვით, არის ის, რომ უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში პარტიებს საზოგადოებაში უფრო ღრმა ფესვები აქვთ და პირიქით ამომრჩეველთა უმეტესობას, ძლიერი კავშირები პარტიებთან. საუბარია იმაზე, რომ ძირითად შემთხვევებში კარგი ინსტიტუციონალიზაცია განაპირობებს იმას, რომ ამომრჩეველთა უმეტესობა გაიგივებულია პარტიასთან და ისინი ხმას იღებენ მხოლოდ და მხოლოდ მათი პარტიული ღირებულებების და პროგრამების საფუძველზე. ჩემი კვლევისთვის ეს განზომილებაც საინტერესოა, რადგან იგი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის „პერსონიფიცირების“ საკითხთან, ანუ ერთ–ერთ პრობელმატურ გარემოებასთან, რომელიც ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგს და ხელს უწყობს ინსტიტუციონალიზაციის სისუსტეს.

მესამე განზომილების მიხედით, უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში, პოლიტიკური პარტიები შეთანხმებული არიან პარტიათა ლეგიტიმურობის შესახებ. ლეგიტიმურობა პარტიათა სისტემის სტაბილურობას ეხმარება, შესაბამისად აუცილებელი კომპონენტია ინსტიტუციონალიზაციის შეფასებისას.

და ბოლოს მეოთხე ინდიკატორის მიხედვით, უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში პარტიული ორგანიზაციები არ ექვემდებარებიან ამბიციური ლიდერის ინტერესებს, ისინი საკუთარ სტატუსსა და ღირებულებას იძენენ. რაც

გულისხმობს საზოგადოებაში არა კონკრეტული ლიდერის გარშემო ამომრჩეველთა თავმოყრას, არამედ ღირებულებების და ინტერესების ირგვლივ გაერთიანებას.

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნული ავტორებისათვის, ინსტიტუციონალიზაციის მაღალი დონე პირველ რიგში კავშირშია სისტემის სტაბილურობასთან, რომელიც თავის მხრივ გარკვეული პირობების არსებობას საჭიროებს. პირველ რიგში ეს არის კონკურენცია, და შემდგომში პარტიათა ფესვების სიღრმე საზოგადოებაში. ანუ ის თუ რამდენად აიგივებს ამომრჩეველი თავს ამა თუ იმ პარტიასთან. ჩემი საკვლევი საკითხი სწორედ ისაა, თუ როგორ უკავშირდება ინსტიტუციონალიზაციის დაბალი ხარისხი დომინანტურ სისტემას, ამიტომ ვფიქრობ, რომ ჯერ აუცილებელია ჩამოყალიბდეს, ის მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია ინსტიტუციონალიზაციის შეფასებისათვის. მეინვერინგი და სქალი გვთავაზობენ, ოთხ ძირითად განზომილებას, რომელიც დამახასიათებელია უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებული სისტემებისათვის, ეს განზომილებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს და ააშკარავებს იმას, რომ სწორედ ქართული პოლიტიკის პერსონიფიცირებამ, პარტიათა კონკურენციის არარსებობამ შექმნა არასტაბილური გარემო, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ მიზეზია სუსტად ინსტიტუციონალიზებული სისტემის.

პარტიულ სისტემებთან დაკავშირებით საინტერესო შრომა აქვს სარტორს,[8] იგი პარტიული სისტემის ორ მნიშვნელოვან განზომილებაზე აკეთებს აქცენტს, შესაბამისად პარტიათა რიცხვზე და იდეოლოგიური პოლარიზაციის ხარისხზე. თუმცა სარტორისეული განმარტება პარტიულ სისტემასთან დაკავშირებით ჩემი აზრით არ არის სრულყოფილი რადგან იგი თითქმის მეორე ხარისხოვნად მიიჩნევს ინსტიტუციონალიზაციას, როგორც პროცესს პარტიული სისტემების გააზრების საქმეში. სარტორი ორ კატეგორის გამოყოფდა, სისტემებს და არასისტემებს, თუმცა იგი არ განიხილავდა ინსტიტუციონალიზაციის ცვლილებებს ამ ორს შორის. ასევე, მაგალითისათვის იგივე სარტორთან პარტიათა სისტემის კლასიფიკაციისას საერთოდ არ გვხვდება ინსტიტუციონალიზაციის გათვალისწინება. შესაბამისად, ჩემი აზრით საერტორისეული შეფასება არ შეიძლება ყოფილიყო

[8] Sartor, Giovanni (1966) “European political parties” NJ: Princeton University Press

სრულყოფილი, რადგან ვფიქრობ, რომ პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს ცენტრალური ადგილი უჭირავს. და ზოგიერთი მნიშვნელოვანი განსხვავება პარტიულ სისტემებს შორის, სწორედაც, რომ ინსტიტუციონალიზაციის განსხვავებების გარშემო ტრიალებს.

სარტორის კლასიფიკაცია პარტიათა რიცხვს და პოლარიზაციის ხარისხს ეფუძვნება, შესაბამისად მას უყურადღებოდ რჩება განსხვავებები ინსტიტუციონალიზაციის დონის მიხედვით. და აქედან გამომდინარე ისიც, თუ როგორ მოქმედებს და როგორ არსებობს პარტიული კონკურენცია ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ გარემოში.

მეინვერინგი და სქალი, ბენდელი, კოპეჯი, მოლინა და პერეზი, ეს ის ავტორებია, რომლებიც პოლიტიკურ მეცნიერებაში, აზიის, აფრიკის და ლათინო ამერიკის პოსტკომონისტური რეჟიმების შესწავლაზე მუშაობდნენ. მათ ერთხმად აღიარეს, რომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება ინსტიტუციონალიზაციის დონეზე, რადგან ინსტიტუციონალიზებული პარტიული სისტემა ქმნის პოლიტიკური პროცესის მაღალ ხარისხს. ფაქტია ისიც, რომ არასტაბილურ, ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში პარტიები მნიშვნელოვანი აქტორები არიან, თუმცა იგივე მასტრუქტურირებელი ეფექტი არ აქვთ.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში, ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა ლიპსეტისა და როკანის „პარტიათა სისტემის შესახებ სოციალური განხეთქილების თეორია“.[9] აღნიშნული თეორია პირდაპირ ეხმიანება ჩემს დასმულ პერსონიფიცირების საკითხს. კერძოდ ავტორები ამბობენ, რომ ამომრჩევლები საკუთარ პოზიციებს საკუთარი ინტერესების და სოციალური პოზიციიდან აყალიბებენ, რაც უეჭვეად გულისხმობს მჭიდრო იდეოლოგიურ კავშირს პარტიებთან და მათ საარჩევნო პროგრამებთან. ანუ კლასიკურ შემთხვევებში, ამ თეორიის თანახმად ელექტორატი ხმას იდეოლოგიური ხასიათის გამო აძლევს, და შესაბამისად „პოლიტიკურ ბაზარზე“ პარტიები ქმნიან ამა თუ იმ იდეოლოგიურ ნიშას.

[9] Lipset, Seymour Martin and Rokkan, Stein (1967) ‘Cleavage structures, party systems

თუმცა ცალსახაა, ის რომ ქართულ რეალობაში სურათი სრულიად სხვაა. არსებობს რამდენიმე კვლევა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მოსახლეობის დიდი წილი საერთოდ არ იცნობს ან ნაწილობრივ იცნობს საარჩევნო პროგრამებს, და ხმის მიცემისას საერთოდ უგულებელყოფილია იდეოლოგიური მახასიათებელი.(შესაბამისი კვლევა წარმოდგენილი იქნება დანართის სახით, კვლევის ბოლოს)

ლიდერები და პერსონალიზება უფრო მნიშვნელოვანი გახდა არჩევნების შედეგების დროს. ავტორებმა ქრიუმ და კინგმა ამ პროცესს „თანამედროვე საარჩევნო კამპანიის პრეზიდენტალიზაცია“ უწოდეს. რაშიც გულისხმობენ იმას, რომ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიებში მოქალაქეები არჩევანს პარტიული პროგრამებისადმი ერთგულების და რწმენის გამო აკეთებენ, ხოლო არამდგრად სისტემებში პერსონალიზმი, უფრო დიდ როლს თამაშობს ხმის მიცემისას. ქართული პოლიტიკური რეალობა თავისთავად გაჯერებულია პერსონიფიცირების ელემენტებით, თავის დროზე არჩევნების მომენტში სწორედ გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის და ბოლოს ივანიშვილის ფიგურები იყო ის გადამყწვეტი, რომელმაც განაპირობა არჩევნების შედეგები. შესაბამისად ამ ორი ავტორის თანახმად მსგავსი ტიპის პერსონალიზება დამახასიათებელია არამდგრად სისტემებში. ცალსახად ნათელია, რომ თუნდაც მხოლოდ ქრიუსა და კინგისთვის, ქართული პოლიტიკური სისტემა არამდგრადი, ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია. უფრო მეტიც, ავტორები აქვე ეხმიანებიან პოპულიზმის საკითხს, რომლითაც მართლაც რომ მსუყედაა გაჯერებულია ქართული პოლიტიკური დღის წესრიგი. ისინი ამბობენ, რომ პოპულიზმი და ანტიპოლიტიკა სწორედ არამდგრადი სისტემისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პიროვნებები დომინირებენ და არა პარტიული ორგანიზაციები.

როგორც ავღნიშნე, მეინვერინგი და სქალი, ინსტიტუციონალიზაციაზე საუბრისას შეფასების ერთ–ერთ კომპონენტად აყალიბებნ პარტიული ფესვების სიღრმეს საზოგადოებაში. რაც გულისხმობს კავშირის გააზრებას ელექტორატს და პარტიას შორის, იმას თუ რამდენად ხდება პარტიულ სისტემაში მოქალაქის საკუთრივ მისი პიროვნების, შესაბამისი პრინციპების და ღირებულებების გათვალისწინებით, მიკუთვნება ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან. ნათელია ის, რომ ეს კავშირი ორმხრივი კომუნიკაციის შედეგია,

საზოგადოებას და პარტიას შორის. გამოდის, რომ კომუნიკაციის მაღალი ხარისხი აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ მოქალაქეებმა გააიგივონ საკუთარი თავი, რომელიმე პოლიტიკურ იდეოლოგიასთან და შესაბამისად ამ კომპონენტში უზრუნველყონ სისტემის სტაბილურობა. ავტორების ეს მოსაზრება საინტერესოა ჩემს კვლევაში, რადგან მე ერთ–ერთ პრობლემად წამოჭრილი მაქვს კომუნიკაციის ნაკლებობს პრობლემა, როგორც შიდა ისე გარე დონეზე. გარე დონეზე კომუნიკაციის ნაკლებობა გულისხმობს საზოგადოების და პარტიებს შორის ნულამდე დაყვანილ ურთიერთობებს. არსებობს შესაბამისი კვლევები, სადაც გამოკითხული მოსახლეობის სრული უმრავლესობა აფიქსირებს იმას, რომ მათთან კომუნიკაცია ხდება მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში, ხოლო არჩევნებიდან არჩევნებამდე შუალედში, თითქმის არ არსებობს პირდაპირი კავშირი პარტიასა და ამომრჩეველს შორის. (შესაბამისი ანგარიში წარმოდგენილი იქნება დანართის სახით, კვლევის ბოლოს).

ჩემი საკვლევი საკითხი ინსტიტუციონალიზაციის და დომინანტური სისტემის ურთიერთკავშირებს აკვირდება, თუ როგორ განაპირობებს, ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი სისტემის ნაირგვარობას. შესაბამისად გარდა ინსტიტუციონალიზაციისა საინტერესოა ის თეორიები, რომლებიც სისტემას იკვლევს და ამ უკანასკნელში დომინანტური პარტიების როლს.

სარტორი, ამბობს, რომ „პარტიები ქმნიან სისტემას, მხოლოდ მაშინ, როცა ისინი არიან სისტემის შემადგენელი ნაწილები, და პარტიული სისტემა ზუსტად არის ურთიერთკავშირების სისტემა, რომელიც პარტიებს შორის არსებული კონკურენციისგან გამომდინარეობს“ (Sartori, 1976:44). სარტორის ეს პოზიცია არა მხოლოდ საშუალებას იძლევა განვასხვაოთ პარტიული სისტემები, რომლებიც მონოპოლიზებულია ერთი პარტიის მიერ, იმ პარტიული სისტემიდან, სადაც კონკურენციაა ხელისუფლებისათვის, არამედ საშუალებას იძლევა ძირითადი მახასიათებლების შესწავლისა. ყველა პოლიტიკური პარტია იბრძვის ხმების წილისთვის, ამგვარად ცდილობენ ისინი შეინარჩუნონ მხარდაჭერა და მოიპოვონ ხმები კონკურენტებისგან, წინაა საარჩევნო თუ არჩევნების შემდგომი კავშირი ერთმანეთთან დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გააკეთა ამათუიმ პარტიამ წარსულში და რა

მოლოდინი არსებობს მისგან სამომავლოდ, სწორედ მსგავსი ტიპის ურთიერთქმედებანი ქმნის პარტიულ სისტემას სარტორის მტკიცებით. როგორც სარტორი აღნიშნავს, პარტიულ სისტემებს აქვს განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც წარმოიშვება საარჩევნო კონკურენციისა და პარტიების ერთმანეთზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ეს თვისებები მოიცავს პარტიების რაოდენობას, რომლებიც იბრძვიან ადგილებისთვის, აგრეთვე პარტიების სიდიდესა და შედარებით სიძლიერეს. როგორც სარტორი აღნიშნავს, უნდა არსებობდეს მკაცრი წესები, რომ განისაზღვროს რომელი პარტია ჩაითვალოს და რომელი გამოირიცხოს, როდესაც ეს მოხდება შემდეგ რჩება კითხვა, არის თუ არა პარტიების რაოდენობა საკმარისი კრიტერიუმი, სისტემის არსებობისათვის?! (Sartori, 1976).

პარტიული სისტემის შემსწავლელებმა მოახდინეს სისტემის ტიპოლოგიზაცია ეს ორი გზით ხდება, პარტიების კლასიფიკაცია ზომისა და სიძლიერის საფუძველზე როგორც ეს ჯან ბლონდერმა(Jean Blondel, 1968) და ალან სიაროფმა გააკეთეს(Alan Siaroff, 2000), და მეორე გზა არის მთავრობის ფორმირებისა და პარტიათა ურთიერთქმედების დაკვირვებით, როგორც ეს როკანმა(Rokkan, 1970) და დალმა(Dahl, 1966) გააკეთეს.

კლასიფიკაციის პირველი მოდელი როგორც ავღნიშნე ბლონდელმა შეიმუშავა, მან სისტემა 4 სხვადასხვა ტიპად დაყო ორ პარტიული, ორ–ნახევარ პარტიული და მრავალპარტიულ სისტემებს, დომინანტი პარტიით და მრავალპარტიულ სისტემებს დომინანტი პარტიების გარეშე. მისი ტიპოლოგია გამომდინარეობს, ორი უდიდესი პარტიის მხრიდან მიღებული ხმების საშუალო წილით და შემდეგ მათი პროპორციული მიმართებით სხვა უფრო მცირე პარტიებთან. ბლონდელის ეს კლასიფიკაცია საკმაოდ საინტერესო არის იმ კუთხით, რომ პარტიულ სისტემაში ნათელი ხდება დომინანტი პარტიების როლი, აგრეთვე ამ კლასიფიკაციის შინაარსში დევს პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის განაწილების მაჩვენებელი ორ პარტიულ თუ მრავალპარტიულ სისტემაში, ეს ტიპოლოგია აგრეთვე საშუალებას იძლევა დავინახოთ განსხვავება პარტიულ სისტემაში მათი სიძლიერისა და ზომის მიხედვით. ეს მოდელი აქცენტს აკეთებს ერთ სისტემის დომინანტურ სტატუსზე, სადაც პარტია, დომინანტურ როლს იღებს არცევნების შედეგად

და შესაბამისად სისტემის შიგნით ნაკლებად რჩება ადგილი სხვა, ოპოზიციური ძალებისათვის.

მთავრობის ფორმირებისა და პარტიათა ურთიერთქმედების მოდელიც ასევე შესაძლოა გათვალისწინებული იქნას, როცა საქმე პარტიული სისტემის აღწერას ეხება, ამ მოდელის თანახმად დალი აყალიბებს პარტიათა ურთიერთქმედების საკითხს კონკურენციაზე დაყრდნობით, შესაბამისად ორპარტიულ თუ მრავალპარტიულ სისტემებთან მიმართებაში. ინსტიტუციონალიზაციაზე, საუბრისას ნათლად იყო დანახვებული კონკურენციის როლი პარტიული სისტემის შიგნით, რომელიც საფუძველია სტაბილურობის. შესაბამისად აღნიშნული მოდელიც საკმაოდ საინტერესოა რადგან სხვა მოდელებისგან განსხავებით იგი აგრეთვე აქცენტს აკეთებს ოპოზიციაზე, როგორც მთავრობის ფორმირების გარეთ დარჩენილ ძალაზე. ანუ სისტემის შიგნით აუცილებელ კომპონენტად ამ მოდელის თანახმადაც კონკურენციაა.

საერთო ჯამში, ჩემი კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ის ძირითადი თეორიები, რომელიც სოციალურ მეცნიერებებში იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში და რომელიც ხსნის ისეთ ფენომენს როგორიცაა ინსტიტუციონალიზაცია და პოლიტიკურ–პარტიული სისტემა და მისი ნაირგვარობა. ჩემი აზრით, პარტიული სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ინსტიტუციონალიზაციის დონის მიხედვით, და სწორედ ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი განაპირობებს პარტიული სისტემის სახეს. ხშირია შემთხვევები, როცა პარტიული სისტემების შედარება პარტიათა რაოდენობის მიხედვით ხდება, თუმცა მე ვფიქრობ, რომ იგი ვერ იქნება სრულყოფილი და ვერ წარმოადგენს სრულყოფილ სურათს, რადგან არარის გათვალისწინებული ინსტიტუციონალიზაცია, როგორც ერთ–ერთი მთავარი პირობა. მაგალითისათვის ნორვეგიას, შვედეთს და რუსეთს მრავალპარტიული სისტემები აქვს, თუმცა ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, სწორედ იმიტომ, რომ ნორგვეგიასა და შვედეთში პარტიები ინსტიტუციონალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან განსხვავებით რუსეთისგან, რაც გარანტიაა პარტიული სისტემის სტაბილურობის. ამიტომ ვფიქრობ, რომ მთავარი საკითხი

პარტიული სისტემის კვლევისას, არა მხოლოდ პარტიათა რიცხვი და მათ შორის იდეოლოგიური განსხვავებებია, არამედ მათი ინსტიტუციონალიზაციის დონეც.

სუსტი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში, საარჩევნო შედეგების საკითხის გარშემო, მეტი გაურკვევლობა და ეჭვი არსებობს, რაც ასუსტებს დემოკრატიულ რეჟიმს. უფრო დიდია ერთი პარტიის მეორეთი შეცვლის ალბათობა. მაღალია იმის ალბათობა, რომ თანამდებობაზე პირი მისი მხოლოდ პიროვნული მახასიათებლებით იქნას არჩეული. თავის მხრივ კი ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როცა სუსტი ინსტიტუციონალიზაციის გამო პერსონიფიცირების მაღალი დონე ავტორიტარიზმისკენ მიმავალი გზა იყო. სუსტი ინსტიტუციონალიზაცია ამცირებს კომუნიკაციას საზოგადოებას და პარტიებს შორის, რაც პრობლემატურად აქცევს ანგარიშვალდებულების საკითხს. დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის კი, ანგარიშვალდებულება პარტიების მხრიდან მთავარი პირობაა.

პოლიტიკური პარტიების ანალიზის ისტორიაში, ერთ–ერთ ყველაზე ცნობილ ციტატაში, შატშნეიდერი (Schatteschneider, 1942) წერდა, რომ „პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს თანამედროვე დემოკრატია და თანამედროვე დემოკრატია არ არსებობს პარტიების გარეშე“. თუ დემოკრატიის ისტორია პოლიტიკურ პარტიებზეა დაფუძვნებული, მაშინ ცხადია რომ მას ექნება პრობლემები თუ პოლიტიკური პარტიები დაცლილნი იქნებიან ისეთი ვალდებულებებისგან როგორიცაა წარმომადგენლობა, ანგარიშვალდებულება, კონკურენცია და სისტემის სტაბილურობა.

საერთო ჯამში, ვფიქრობ, რომ ზემოთ აღნიშნული ნაშრომები ერთ–ერთი ფუნდამენტურია პოლიტიკის მეცნიერებაში. შესაბამისი ავტორები აანალიზებენ პოლიტიკურ პარტიული სისტემის ნაირგვარობას, აგრეთვე გამოყოფენ კავშირებს პარტიათა ურთიერთქმედების და ინსტიტუციონალიზაცია შორის. ნაშრომების ანალიზმა საშუალება მომცა გამეგო ინსტიტუციონალიზაციის არსი, მისი ტიპოლოგია და ასევე ინსტიტუციონალიზაციის კავშირი დომინანტურ პოლიტიკურ პარტიულ სისტემასთან.

თავი 1

1.1 პოლიტიკურ პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაცია

მრავალპარტიულ სისტემებში, პოლიტიკური პარტიები, კონკურენციის პირობებში იღწვიან ძალაუფლების ხელში ასაღებად, ცალსახად ნათელია ის, რომ პარტიები „შეუცვლელები“ არიან დემოკრატიისათვის (Lipset :2000). პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი არიან, მოახდინონ საზოგადოებაში არსებული ინტერესთა აგრეგაცია და არტიკულაცია, რაც გულისხმობს საზოგადოების პოლიტიკური შეხედულებების, ხელისუფლებამდე მიტანას, რომლის განხორციელების ერთადერთი საშუალება პოლიტიკური სისტემაა. რასაკვირველია, ცალკეული პარტიების საქმიანობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. ერთ-ერთი შესაძლო ახსნა ამ განსხვავებისა ინსტიტუციონალიზაციის დონეა. უფრო სწორედ კი, ჩანს, რომ უფრო ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში პოლიტიკური პარტიები უფრო მაღალი ხარისხით ასრულებენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს ვიდრე ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულში. პოლიტიკური თეორიებში, დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ პარტიებს და მათ მიერ შექმნილი სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხარიხსს.

პოლიტიკურ თეორიებში არ არსებობს უნივერსალური განმარტება იმისა, თუ რა არის ინსტიტუციონალიზაცია და რას გულისხმობს პარტიათა ინსტიტუცინალიზაციის ხარისხი (Merkel,.1996). ეკონომიკურ თეორიაში ინსტიტუტები ქმნიან თამაშის წესებს, ხოლო ორგანიზაციები არიან მის შიგნით „მოთამაშეები“.[10] ამ გაგებით პოლიტიკური პარტიები არიან ორგანიზაციები, რომლებიც ინსტიტუციონალიზაციის გზით, სისტემის შიგნით უნდა განვითარდნენ (North,. 1993).

---

[10] North, Douglas (1993): Institutions and Credible Commitment, in: Journal of Institutional and Theoretical Economics, pp. 11-23.

პოლიტიკურ თეორიაში ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო განმარტება ეკუთვნის ჰანტიგტონს. იგი მიიჩნევდა, რომ ინსტიტუციონალიზაცია არის პროცესი, რითაც ორგანიზაციები და პროცედურები იძენენ ღირებულებებსა და სტაბილურობას. (Huntigton ,.1968). შესაბამისად როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ ინსტიტუციონალიზაციაზე, ნათელია ის როლი რომელიც ეკუთვნის პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ორგანიზაციებს, ჰანტიგტონისათვის მაღალი ხარისხის ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს პოლიტიკური პარტიების მხრიდან პოლიტიკური ღირებულებების შექმნას, რომელიც თავის მხრივ ქმნის სტაბილურ გარემოს.

მეინვერინგი, საკუთარი ნაშრომში საკითხს უფრო კონკრეტულად განიხილავს და საუბრობს იმაზე თუ რა არის პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაცია - ეს არის პროცესი, როდესაც პოლიტიკური პარტიები არჩევნებში მონაწილეობის გზით, აყალიბებენ პოლიტიკურ ფასეულობებს და ქმნიან სტაბილურ სისტემას. აღნიშნულიდან ჩანს, ამომრჩევლის როლი, ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, ელექტორატის ფასეულობითი კავშირი პოლიტიკურ პარტიასთან ერთ-ერთი მთავარი საზომია ინსტიტუციონალიზაციის შეფასებისას.

ამ თოერიული დისკურსიდან ვხედავთ, რომ პოლიტიკური პარტიები უნდა ქმნიდნენ პოლიტიკურ ფასეულობებს, რომლებიც თანხვედრაში უნდა მოდიოდეს შესაბამისად ელექტორატის არჩევანთან. ლაპარაკია იმაზე, რომ ამომრჩეველი საკუთარ არჩევანს სწორედ იმის მიხედვით უნდა აკეთებდეს თუ რამდენად აიგივებს იგი საკუთარ თავს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიასთან. დღევანდელ პირობებში, პოლიტიკური ფასეულობების პრაქტიკულ განხორციელებას პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პროგრამები წარმოადგენს. მასში გაერთიანებულია კონკრეტული ხედვები თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხელისუფლება. შესაბამისად იმისათვის, რომ ინსტიტუციონალიზაციის დონე მაღალი იყოს , ხედვაზე დაფუძვნებული პარტიული პროგრამის არსებობა აუცილებელი პირობაა.

ინსტიტუციონალიზაციის, განხილვისას ლევიცკი გვთავაზობს პარტიათა რუტინიზაციის თეორიას, რომელიც ანსხვავებს პარტიებს ქარიზმატული ლიდერებით, პარტიებისგან რომლებიც პროცედურების და წესების ირგვლივ არიან გაერთიანებულნი.[11] (Levitsky ,.1998) . საუბარია ერთის მხრივ პარტიაზე, სადაც გადამწყვეტი როლი, პიროვნებას ენიჭება, ხოლო მეორეს მხრივ პარტიაზე, სადაც წინასწარ შექმნილი წესებით და პროცედურებით ხდება ორგანიზაციის მართვა. აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება, ჩემი კვლევის თეორიის ავტორის, დიუვერჟეს შეხედულებას ინსტიტუციონალიზაციის შესახებ. დიუვერჟესათვის, ინსტიტუციონალიზაციის დონე განისაზღვრება პროგრამული და იდეოლოგიური კავშირებით, ამომრჩეველსა და პარტიებს შორის ანუ როგორია ეს კავშირები უფრო პერსონალური თუ იდეოლოგიური?! ავტორები აანალიზებენ რა ინსტიტუციონალიზაციას, ამბობენ, რომ უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებულ პარტიებში ცვლილებების შეტანა არ ხდება ერთი რომელიმე ლიდერის ნება-სურვილის გამო და თამაშის წესები ყოველთვის წინასწარაა განსაზღვრული, გარკვეული იდეოლოგიური ფასეულობების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, თეორიული თვალსაზრისით, ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს გარკვეულ ღირებულებათა ერთობლიობას, რომელიც საერთო უნდა იყოს სისტემის შემადგენელი ყველა კომპონენტისათვის, და ამგვარად გარანტირებული იქნას მისი სტაბილურობა. სტაბილურობა, ერთის მხრივ გულისხმობს პარტიის, როგორც ორგანიზაციის გამართულად მართვას. მასში წინასწარ შეთანხმებული ფასეულობები უნდა იყოს წარმართველი, პარტიის ყველა დონეზე ურთიერთქმედება თანაბარი და თანასწორუფლებიანი. ხოლო მეორეს მხრივ სტაბილურობაში იგულისხმება ის, თუ როგორ ურთიერთქმედებს პარტია ამომერჩეველთან.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის იდეის განხორციელებისათვის პოლიტიკური პარტიაა მთავარი ინსტრუმენტი, შესაბამისად სისტემის სტაბილურობა, აუცილებლად უნდა

[11] Levitsky, Steven (1998): Institutionalization and Peronism, in: Party Politics

გულისხმობდეს, ამომრჩეველთან ანგარიშვალდებულებას, მათთან კომუნიკაციის ხარისხის დონის შეფასებით.

1.2 პოლიტიკურ-პარტიული სისტემის დომინანტური ხასიათი

დომინანტური პარტიული სისტემა ან ერთპარტიული სისტემა, წარმოადგენს მართვის იმგვარ ფორმას, სადაც ერთმა პარტიამ მოიპოვა გამარჯვება, ხელში აიღო ძალაუფლება და მათი სამომავლოდ დამარცხება თითქმის შეუძლებელი ხდება. (Sutner,. 2006). როგორც წესი, ასეთ სისტემაში დომინანტური პარტია მუდმივად ფლობს უმრავლესობას და არ სჭირდება კოალიცია, მთავრობის დასაკომპლექტებლად. თუმცა ვფიქრობ, აუცილებელია გავმიჯნოთ ერთპარტიული და დომინანტური სისტემები. ერთპარტიულ სისტემებში სხვა პოლიტიკური პარტიების არსებობა აკრძალულია, განსხვავებით დომინანტურ პოლიტიკური სისტემისაგან, სადაც რეალურად გარდა მთავარი პარტიისა არსებობენ სხვებიც, თუმცა ისინი არ წარმოადგენენ რეალურ ალტერნატივას სახელისუფლებო პარტიისა. თუ დასავლური ტიპის დემოკრატიებში, ოპოზიციაში ყოფნა გულისხმობს ალტერნატივის არსებობას, მზადებას შემდეგ არჩევნებში გამარჯვებისათვის, დომინანტურ პარტიულ სისტემაში ოპოზიციურ პარტიებს ძალაუფლების ხელში აღების რეალური შანსი თითქმის არ გააჩნიათ. დომინანტური სისტემის ოპონენტები თვლიან, რომ იგი ეწინააღმდეგება დემოკრატიის მთავარ პრინციპს წარმომადგენლობითობას. (Sutner,. 2006). საუბარია იმაზე, რომ ამ ტიპის სისტემაში, ოპოზიციური პარტიების შეხედულებები, მათი წარმოდგენები ხელისუფლების განხორციელების შესახებ უფრო მეტად შეზღუდულია ან სრულიად იგნორირებული. დომინანტურ პარტიულ სისტემაში შთაბეჭდილება იქმნება იმის, რომ სახელმწიფოს მართვის პროცესში მხოლოდ ერთი ჯგუფი მონაწილეობს, და სხვა პოლიტიკური ჯგუფებს თუ ამომრჩეველს წართმეული აქვს ხელისუფლების განხორციელების ბერკეტები. ერთის მხრივ მთავარი პარტია ქმნის დღის წესრიგს, აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, ქმნის განცდას უალტერნატიობის, ხოლო მეორეს მხრივ იგი ყველანაირად ებრძვის და ახშობს სხვა ტიპის შეხედულებებს.

საინტერესოა ის, თუ რატომ ყალიბდება დამოუკიდებელ ქვეყნებში დომინანტური პარტიული სისტემები, რა განაპირობებს ამას? რათქმაუნდა ჩემი აზრით ერთ-ერთი პასუხი ამ შეკითხვაზე გახლავთ პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც თავის მხრივ პოლიტიკურ კულტურასაც გულისხმობს. მაღალი პოლიტიკური კულტურის საზოგადოებებში კი ამგვარი პროცესების წარმართვა ნაკლებად სავარაუდოა. სხვა მიზეზი კი დომინანტური სისტემის წახალისებისა, ჩემი აზრით სწორედ, პარტიული სისტემის სუსტი ინსტიტუციონალიზაციაა. დომინანტურ სისტემებში, პოლიტიკურ პარტიებს უპერსპექტივობის განცდა აიძულებთ იმას, რომ პასიურ პოზიციებში გადაინაცვლონ. გარდა პასიური პოზიციებისა ასპარეზზე, ჩნდებიან ე.წ „ხელისუფლების სატელიტი“ პარტიები, როგორც ხელისუფლების „ალტერნატივები“. რეალურად კი ისინი ემსახურებიან მმართველი პარტიის ინტერესებს და მოჩვენებითი დემოკრატიის სურათს ქმნიან. ასეთი პარტიებისათვის კი არ აქვს არანაირი მნიშვნელობა პოლიტიკურ ფასეულობებს ან ღირებულებებს, შესაბამისად ისინი სისტემაში ვერანაირ სტაბილურობას ვერ ქმნიან, რადგან რეალურად არც კი ურთიერთქმედებენ. ამ თავის პირველ ნაწილში საუბარი იყო იმაზე თუ როგორი უნდა იყოს კარგად ინსტიტუციონალიზებული სისტემა. სწორედ ის, რომ პოლიტიკურ პარტიები არ შექმნილან ღირებულებების ან/და ფასეულობების საფუძველზე ასუსტებს მათ ინსტიტუციონალიზაციას, რაც ახალისებს, რომელიმე პოლიტიკური ძალის დომინანტურ სტატუსს.

სხვადასხვა ავტორების თეორიული გააზრებების შედეგად, შესაძლებელია ვისაუბროთ კონკრეტულ ინდიკატორებზე, რომლებიც ქმნიან მაღალი ხარისხის ინსტიტუციონალიზებულ სისტემას. ამ მახასიათებლებზე საუბარი ჩემი აზრით, უფრო ნათელს მოჰფენს კავშირს ინსტიტუციონალიზაციასა და დომინანტურ სისტემას შორის და პრაქტიკული გააზრების საშულებას მოგვემს საკითხის არსისა.

პირველი და ყველაზე მთავარი ეს არის პარტიათა ღირებულებითი კავშირი საზოგადოებასთან, სხვა სიტყვებით „პარტიათა ფესვების სიღრმე საზოგადოებაში“[12]

[12] Mainwaring, Scott / Scully, Timothy (1995): Introduction: Party Systems in Latin America

(Mainwaring ,. 1995). პირველ რიგში აღნიშნული კომპონენტი გულისხმობს პარტიის მოღვაწეობის ხანგძლივობას, რამდენად ძველი და კონსოლიდირებულია პოლიტიკური პარტია და როგორ გამოხატავს იგი ამომრჩევლის რომელიმე სეგმენტის ღირებულებით სურვილებს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ შეიძლება შეფასდეს არჩევნებში პარტიათა მონაწილეობის და შედეგებზე დაკვირვების გზით, ანუ როგორ იცვლებოდა პარტიათა მიღებული მხარდაჭერა არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში. როგორც ვთქვით, იმისათვის, რომ პოლიტიკურ პარტიებს გააჩნდეთ ღირებულებითი კავშირი საზოგადაოებასთან, აუცილებელია მათ ჰქონდეთ კონკრეტული იდეოლოგიური მახასიათებლები, ხედვა იმის შესახებ თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხელისუფლება, ძალაუფლების ხელში აღების შემთხვევაში.ეს კომპონენტი ასევე შეიძლება დავაკავშიროთ, ე.წ „პარტიათა ობიექტური გამძლეობის“ (გადარჩენის) თეორიასთან[13] (Bolleyer ,. 2014). თეორიის არსი მდგომარეობს პარტიათა ასაკში და შესაბამისად მათ გამოცდილებაში. ავტორებმა ჯანდამ და გილიემ (Janda and Gillies,.(1980)) ჩაატარეს სხვადასხვა ქვეყნებში პარტიათა ობიექტური გამძლეობის შესახებ კვლევა, დაკვირვება მოხდა 208 პოლიტიკურ პარტიაზე, კვლევამ აჩვენა რომ, თუ პარტია უფრო მეტადაა მომწიფებული მისი, გამძლეობის და გადარჩენის ხარისხი უფრო მაღალია. მაგალითისათვის კვლევაში ნაჩვენებია, რომ პარტიები ასაკით 5 დან 15 წლამდე უფრო მალე წყვეტენ არსებობას ვიდრე პარტიები რომელთა მოღვაწეობის ასაკი 15 წელი ან უფრო მეტია. ხოლო დაახლოებით 80 პროცენტია იმის ალბათობა, რომ პოლიტიკურმა პარტია გადარჩეს თუ მისი პოლიტიკური ასაკი 25 წელი ან მეტია. ამ თეორიდაან ნათელია ის, რომ პოლიტიკური პარტიების არსებობა, კარგად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში პირდაპირ უკავშირდება მათ პოლიტიკურ გამოცდილებას.

სწორედ ეს საკითხია ჩემი აზრით ერთ-ერთი პრობლემატური ასპექტი ქართულ პოლიტიკაში. კვლევის შემდეგ თავში დავინახავთ იმას, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ქაოტურად, ყოველგვარი ღირებულებების გარეშე იქმნებიან,

[13] Bolleyer, Nicole (2014) – “New Parties in old party system”

შესაბამისად მათი მოღვაწეობის ისტორია საკმაოდ ხანმოკლეა. აგრეთვე დავინახავთ იმას, რომ პოლიტიკურ პარტიათა სრულ უმრავლესობას არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. კიდე უფრო საინტერესოა პარადოქსი, რომლის მიხედვითაც, ქართულ პოლიტიკაში მოღვაწე პოლიტიკური პარტიები აღიარებენ რა კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიას, თუმცა მათი პრაქტიკული საქმიანობა სრულიად აცდენილია ამ უკანასკნელს.

პარტიათა ინსტიტუციონალიზაციის მაღალი ხარისხისათვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავის მხრივ გარანტიაა სისტემის სტაბილურობისა (Duverger ,. 1964). პარტიათა ორგანიზაციულობა გულისხმობს პარტიათა წევრების ძლიერ კავშირებს ორგანიზაციასთან, მატერიალური და ადამიანური რესურსების სწორად მართვა და გადანაწილება. ასევე, გამართული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მთავარ პრინციპს წარმოადგენს, გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულობა. ეს კი გულისხმობს, რეგულარულად პარტიული კონგრესების ჩატარებას და პარტიულ პლურალიზმს. ეს უკანასკნელი კი აუცილებელია იმისათვისაც, რომ პარტიამ მოახდინოს ლიდერის რეკრუტირება და პარტიამ შექმნას ლიდერი და არა პირიქით. შიდა პარტიულ დონეზე ორგანიზაციულობის მაღალი ხარისხი აუცილებელი პირობაა პარტიული ინსტიტუციონიზაციის მაღალი დონისათვის, სხვაგვარად პარტიები იმართებიან მხოლოდ ერთი ადამიანის ან ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ. ასეთი ტიპის პარტიებში ღირებულებისა და წესების ნაცვლად სწორედ მათი შეხედულებები ხდება მთავარი. კომუნიკაციის ხარისხი შიდა პარტიულ დონეზე, არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქართულ პოლიტიკურ ველზე. სამწუხაროდ დიდი რაოდენობა პოლიტიკური პარტიებისა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ადამიანით, მათი ლიდერით. კვლევის შემდეგ ნაწილში დავინახავთ, რომ პარტიულ საქმიანობაზე გადაწყვეტილებებს იღებს კონკრეტულ ადამიანთა მცირე ჯგუფი და სხვა წევრების ჩართულობა თითქმის ფორმალური ხასიათისა, შესაბამისად ქართული პარტიები, როგორც ორგანიზაციები საკმაოდ სუსტი ხასიათისაა.

ბინგჰემტონის უნივერსიტეტის, პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, დავიდ კლერკი ფიქრობს, რომ როდესაც ვსაუბრობთ სისტემის

ინსტიტუციონალიზაციაზე და მათ პრობლემებზე, აუცილებელია განვასხვავოთ იგი დასავლურ და ახალ დემოკრატიებში. შეიძლება, კლასიკური გაგებით, დასავლური ტიპის დემოკრატიული სისტემები საკმაოდ მაღალი ხარისხით არიან ინსტიტუციონალიზებულნი, თუმცა აშკარაა, რომ აქაც იკვეთება კონკრეტული დეფექტები რომელიც ახასიათებს სისტემას. პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების საკითხი ერთ-ერთი მათთაგანია. ფული პოლიტიკაში ამბობს დავიდ კლერკი, გამოწვევად რჩება როგორც მდიდარი ისე ღარიბი ქვეყნებისათვის. ბრიტანეთს, ამერიკას თუნდაც საქართველოს ან სხვა ნებისმიერ ქვეყანას ერთი საერთო გამოწვევა აერთიანებთ, მათ უნდა მოახდინონ ფინანსური სახსრების რეგულირება პოლიტიკაში. მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე საერთაშორისო პროექტია იმისათვის, რომ მოხდეს ფულადი სახსრების გამჭირვალეობის კვლევა პოლიტიკაში. ჩემი აზრით პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა ისწავლონ თანაბარ პირობებში თამაში. ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკურ სისტემის სტაბილურობას ძირს უთხრი არათანაზომიერი ფინანსური სახსრები პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის. შესაბამისად ვფიქრობ, რომ ქვეყნებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ მის დარეგულირებაზე. გარდა სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებისა, პოლიტიკურმა პარტიებმა თავად უნდა გამოიჩინონ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მოერიდონ „ჭუჭყიან“ ფულს მათ პოლიტიკურ კამპანიებში. შეკითხვაზე, როგორ აკავშირებთ ფულს პოლიტიკაში და პარტიის დომინანტურ სტატუსს ერთმანეთთან?, პროფესორი პასუხობს : რათქმაუნდა თამაშის არათანაბარი პირობები, ყოველთვის უპირატეს პოზიციაში აღმოაჩენს ხოლმე რომელიმე მოთამაშეს, რომელიც თავის მხრივ ცდილობს დიდ ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს მისი ეს მდგომარეობა. *[პოლიტიკის მეცინერებათა დოქტორი, დევიდ კლერკი. 20.04.2019]*

დაფინასნების საკითხი ქართულ პოლიტიკურ რეალობაშიც საკმაოდ პრობლემატურია. ჩემი საკვლევი შეკითხვის ერთ-ერთი ფუნდამენტი სწორედ ეს გახლავთ, კვლევის ერთი თავი მთლიანად ეკუთვნის ფინანსების საკითხს საქართველოში. მასში ნაჩვენებია ის თუ როგორი გამოცდილება აქვს ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ამ მიმართულებით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირითაა დანახვებული ის, თუ როგორ

ახალისებს ფინანსები, რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ლიდერის დომინანტურ პოზიციას. ვფიქრობ, პრობლემის არსის სწორად გააზრება, შემდგომში მოგვცემს საშუალებას დაისახოს მისი გადაჭრის გზები, რათა თავიდან იქნას აცილებული ე.წ „შავი“ ფული პოლიტიკაში. ეს უკანასკნელი არათანაბარ პირობებს ქმნის სისტემის შიგნით სუბიექტებს შორის, რაც ხელს უშლის პარტიული სისტემის სტაბილურობას, რაც თავის მხრივ მაღალი ხარისხის ინსტიტუციონალიზაციის გარანტია.

თავი 2

2.1 პოლიტიკური პარტიათა პერსონიფიცირება საქართველოში

თეორიული საკითხების განხილვის საფუძველზე, ნათელია ის პორბლემატური ასპექტები, რომელიც ასუსტებს ქართულ პარტიულ ინსტიტუციონალიზაციას და ხელს უწყობს დომინანტური სისტემის შექმნას. როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ პარტიათა კლასიკური თეორიტიკოსები უპირობოდ აღიარებენ, ღირებულებთი კავშირების მნიშვნელობას. საქართველოში, სადაც ღირებულებითი კავშირები საკმაოდ სუსტია წინ იწევს პერსონების როლი, ცალსახაა, რომ ქართული პოლიტიკური სივრცე პერსონიფიცირებულია. ამას აჩვენებს, უკანასკნელი კვლევის შედეგებიც, 2017 წლის გამოკითხვის მიხედვით, რესპოდენტების 50% _ისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო მერობის კანდიდატის პერსონა, ვიდრე ის პარტია, რომელსაც ეს კანდიდატი წარადგენდა.[14]

როგორც წესი, დასავლეთის დემოკრატიებში ამომრჩევლისთვის, ხმის მიცემისას, გადამწყვეტ როლს პარტიული მანიფესტები თამაშობს, ის დაპირებები, რომელსაც ესა თუ ის პარტია იძლევა არჩევნების წინ და რომელიც უნდა შესრულდეს, ხელისუფლების ხელში აღების შემთხვევაში, ჩვეულებრივ არჩევნების პროცესი ხომ ერთგვარად „ვაჭრობის“ პროცესია, როცასაარჩევნო სუბიექტები„ყიდიან“ საკუთარ პროგრამებს, ხოლო ამომრჩეველი გვევლინება „მყიდველის“ როლში, რომელიც, გარკვეულ პროგრმაში საკუთარ „ხმას“ იხდის, იდეურად, სწორედესაა მთელი საარჩევნო პროცესი, გამომდინარე აქედან, სწორედ

[14] „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ (2017) კავკასიის ბარომეტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვა.

პარტიული მანიფესტებია ის გადამწყვეტი, რითაც უნდა მოხდეს მხარდაჭერის მოპოვება. საქართველოს შემთხვევაში კი პარტიებში ხდება კონკრეტული პიროვნებების განსაკუთრებულ ადგილას დაყენება. საქართველოს პოლიტიკური პარტიები მთლიანად ასოცირდება და, ზოგ შემთხვევაში გათანაბრებულია მათ ლიდერებთან. ასე იყო ყველა მნიშვნელოვანი პარტიის და განსაკუთრებით მმართველი პარტიების შემთხვევაში, ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, სწორედ, გამსახურდიას, შევარდნაძის , სააკაშვილისა და ივანიშვილის, პიროვნებებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი, მათი პარტიების წარმატებაში. მსგავსმა პერსონიფიცირებულობამ, ძალიან შეასუსტა მანიფესტების როლი და საერთოდ პოლიტიკური პლატფორმების არსებობის საჭიროება, საზოგადოებისთვის, ამომრჩევლისთვის, გადამწყვეტი არა პარტიული პროგრამები, არამედ კონკრეტული პიროვნების ავტორიტეტი გახდა. შესაბამისად პოლიტიკური პარტიები საარჩევნო პროგრამაზე მუშაობის სანაცვლოდ, ლიდერის სიტყვის გამოსვლის ტექსტზე მუშაობენ, რადგან ეს უფრო გადამწყვეტი ხდება არჩევნებისას.[15]

პოლიტიკური პარტიები მხარდაჭერის მოპოვებას, ერთი, რომელიმე პიროვნების გამო ახერხებენ, რაც განაპირობებს იმას, რომ სხვა წევრები პარტიისა, ნაკლებ ანგარიშვალდებულად თვლიან თავს, რაც ხდის გაუცხოებულს, პარტიასა და საზოგადოებას. ქართული პოლიტიკის პერსონიფიცირება იწვევს იმას, რომ პარტიებში დომინირიბენ მხოლოდ კონკრეტული ინდივიდები. პოლიტიკური დებატები ხასიათდება ამ ინდივიდებზე თავდასხმით – მათ შორის პირადი შეურაწყოფითაც კი. ხოლო როდესაც ეს შეტევა მიმართულია საქართველოს ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლების მიმართ როგორიცაა მოქმედი ან ყოფილი პრეზიდენტი, მოქმედი ან ყოფილი პრემიერ

[15] ციტირებულია - საინფორმაციო ინტერნეტ პორტალი „რადიო თავისუფლების - თავისუფალი სივრცე“ ავტორი - ი. ავალიშვილი იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-irakli-avalishvili-partiuli-struktura/26975020.html .

მინისტრი და ა.შ – ეს აკნინებს არა მხოლოდ ამ პირებს არამედ იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.[16]

რატომ არის პერსონიფიცირება პრობლემა? ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პერსონიფიცირება დგას პარტიული მანიფესტების საპირწონედ, შესაბამისად პარტიებმა დაკარგეს იდეოლოგიური მახასიათებელი, რაც აგრეთვე საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის დაბალი დონითაცაა განპირობებული. იმ პირობებში, როცა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის გარჩევა უჭირს, რთულია ისაუბრო რაიმე იდეოლოგიური ნიშის დამკვიდრებაზე, პოლიტიკური პარტიების მხრიდან, თუმცა ეს ფაქტი, რომ საზოგადოებაში დაბალია პოლიტიკური კულტურის დონე, სულაც არ უხსნის პასუხისმგებლობას პოლიტიკურ პარტიებს, რადგან სწორედ მათ უნდა ითამაშონ მთავარი როლი ამის დაძლევაში, საკუთარი საგანმანათლებო ფუნქციიდან გამომდინარე.[17] რადგან, სწორედ იდეოლოგიური მახასიათებლის არარარსებობის გამო ჩნდება კითხვის ნიშნები უკვე არჩევნების შემდეგ, როცა ხელისუფლებაში მოსული პარტიებს რეალურად მრავალი მიმართულებით ხედვაც კი არ გააჩნიათ და მხოლოდ გამარჯვების შემდეგ იწყებენ ფიქრს. სწორედ ამ პრობლემითაა განპირობებული ის, რომ საზოგადოებაში ჩნდება იმედგაცრუების შეგრძნება, ზუსტად იმიტომ, რომ განუსაზღვრელად დიდი მოლოდინების (რაც თავის მხრივ გაუაზრებელი დაპირებებითაა განპირობებული) საპასუხოდ მინიმალურ შედეგებს ღებულობენ.

მმართველი პარტიების პერსონიფიცირება და ერთი რომელიმე ლიდერის გაიდეალება აგრეთვე საფრთხის წინაშე აყენებს სახელმწიფოს, დგება ხელისუფლების უზურპაციის საფრთხე. როცა ერთი კონკრეტული პიროვნების გამო ხდება პოლიტიკურ პარტიათა არჩევა სახელისუფლებო ორგანოებში, მისი მხრიდან საფრთხეა ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა, შესაბამისად იმისა, რომ მმართველობის ფორმა უფრო მეტად

---

[16] ინტერვიუ, ალექსანდრა ჰოლთან (2015) – წყარო : http://www.interpressnews.ge/ge/politika/344945-saqarthveloshi-didi-britanethis-saelcho-elchis-aleqsandra-hol-holis-ganmartebas-avrcelebs.html?ar=A წვდომის თარიღი 20.03.2019

[17] ალვარო სკოლბახი, გია ნოდია (2006) – „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“ გვ. 272–273

ავტორიტარულს დაემგვანება. გარდა ამისა, სწორედ ლიდერებზე და არა კონკრეტულ იდეებზე დამოკიდებულების გამო ხდება ისე, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიების არსებობა, საკმაოდ სუსტია, ისინი იქმნებიან მარტივად, ქაოსურად და შესაბამისად მალევე იშლებიან. სწორედ კონკრეტულ ლიდერებზე დამოკიდებულებაა ამის მიზეზი, რადგან მსგავსი სიტუაციით უფერულდება პოლიტიკური იდეოლოგიის მნიშვნელობა, შესაბამისად, თუ ლიდერი ტოვებს პარტიას, დიდი შანსია პარტიაც დაიშალოს, რადგან ისინი არა რაიმე იდეის ირგვლივ არამედ კონკრეტული პიროვნების ირგვლივ ერთიანდებიან.

პერსონების დამსახურება იყო 2003 წლის ვარდების რევოლუცია, სააკაშვილის, ბურჯანაძის და ჟვანიას პიროვნებებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი პროცესების იმგვარად განვითარებაში. რათქმაუნდა პერსონიფიცირების, როგორც პრობლემის წახალისებას, მაშინდელმა კონსტიტუციურმა მოწყობამაც შეუწყო ხელი - პრეზიდენტობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ადამიანს ვინც ამ თანამდებობას დაიკავებდა. ჟურნალისტი და მწერალი შორენა ლებანიძე იხსენებს, რომ 2004 წელი იყო განსაკუთრებული პერიოდი, როდესაც მედია საშუალებები ახდენდნენ მიხეილ სააკაშვილის პიროვნების იდეალიზაციას, პიროვნული უნარჩვევებზე ხაზგასმით იხატებოდა რა დასავლური ნიჭიერი კაცის სურათი, საზოგადოებაში აჩენდნენ განსაკუთრებულ რწმენას ამ პერსონისადმი.ერთი მეორის მიყოლებით იქმნებოდა პოლიტიკური თუ სოციალური, გასართობი კლიპები, რომლებიც მხოლოდ სააკაშვილის იდეალიზაციას ემსახურებოდა. მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერებს და მათ პერსონებს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2004 წლიდან მაუწყებლობა შეწყვიტა, რამდენიმე კრიტიკულმა მედიასაშუალებამ და გადაცემებმა. ამ მხრივ ყველაზე კარგი მაგალითი იყო ტელეკომპანია რუსთავი 2 ის გადაცემის „60 წუთის“ დახურვა. გადაცემა ატარებდა ჟურნალისტურ გამოძიებებს, მოქმედ პოლიტიკოსებზე და იკვლევდა მათ კავშირებს კორუფციულ გარიგებებთან. მაშინდელი დისკურსი კი ის გახლდათ, რომ ახალ ლიდერებს და მათ პერსონებს სჭირდებოდათ უკეთესი იმიჯი საზოგადოებაში, შესაბამისად გადაცემები, რომლებიც მათი კრიტიკით

იქნებოდა დაკავებული უბრალოდ საჭირო აღარ იყო. გარკვეულწილად ამ გარემო ფაქტორებამ შექმნა ერთგვარი „ამპარტავნული“ განცდები სააკაშვილის პერსონაში, ქვეყნის მასშტაბით, მინისტრთა კაბინეტებში ინიშნებოდნენ ფიგურები, რომელთა კვალიფიკაციასა და ცოდნაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა საზოგადოებას, მათი მთავარი დამსახურება იყო ის, რომ ისინი სააკაშვილის ფავორიტები იყვნენ. დემოკრატიის სახელით ხელისუფლებაში მოსული პიროვნება, ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით ნელ ნელა გადაიხარა ავტორიტარი ლიდერის იმიჯისაკენ.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ფიქრობს, რომ 2003 წლის ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება, განსაკუთრებულ ადგილზე აყენებდა პერსონებს. თუმცა იგი მიიჩნევს, რომ იმ დროის რეალობისათვის პერსონიფიცირება აუცილებელიც კი იყო ქართული სახელმწიფოსათვის. „ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გვქონდა რეალობა როცა სახელმწიფო ინსტიტუტები ძირგამოთხრილი იყო, ყველა დონეზე ჰყვაოდა კორუფცია, საზოგადოებაში გამეფებული იყო ქურდული მენტალიტეტი. შესაბამისად, პარტიული იდეოლოგიების და პროგრამებისათვის მაშინ არც საზოგადოება იყო მზად, საჭირო იყო რეალური, სწრაფი და ქმედითი ნაბიჯები სიტუაციის გამოსასწორებლად. ნიჭიერი, ენერგიული ლიდერის იმიჯი იმავდროულად ავტორიტეტს უბრუნებდა, იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომელსაც იგი წარმოადგენდა“. თუმცა პერსონიფიცირება, მახინჯი პრაქტიკაა დასავლური ქვეყნებისათვის, ჩვენ იმ მომენტისათვის ეს სასიცოცხლოდ გვჭირდებოდა, აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. ახლანდელი რეალობის შეფასებისას იგი ამბობს, რომ ნაციონალურ მოძრაობაში დღეს, პირველ ხაზზე პარტიული ღირებულებები და ფასეულობები წამოწეული. „ჩვენ გავიარეთ გარდაქმნის და ცვლილებების ეტაპი, დღეს ნაციონალური მოძრაობა ევროპული დონის ძლიერი პარტიაა და ამას არჩევნების შედეგებიც ცხადყოფს.“ ექსპრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ქართულ რეალობაში პერსონიფიცირების კლასიკური მაგალითი ბიძინა ივანიშვილია, სწორედ ის ქმნის და აყალიბებს მისეულ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომელსაც შემდგომში ემსახურება ქართული ოცნება. *[მიხეილ სააკაშვილი. 08.05.2019]*

რათქმაუნდა ნაციონალურმა მოძრაობამ გარკვეულწილად გაიარა განახლების პროცესი, თუმცა სააკაშვილის, როგორც ლიდერის როლი, რომ განსაკუთრებულია ეს ნათლად სჩანს. ნაციონალური მოძრაობის წევრების შეხვედრები მოსახლეობასთან იწყება და მთავრდება პირდაპირი ჩართვებით, მიხეილ სააკაშვილი უკვე დისტანციურად ცდილობს, მოსახლეობის მობილიზებას და გარკვეული თვალსაზრისით ახერხებს კიდეც ამას. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ პერსონიფიცირების პრობლემა ამ პოლიტიკურ პარტიაში ისევ დგას და მათ კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო მის გადასაჭრელად.

პერსონიფიცირების კარგი მაგალითი იყო 2008 წელს შექმნილი, საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია.[18] ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ იმავე წელს მოიპოვა საპარლამენტო მანდატები. პრაქტიკულად რთულია ისაუბრო იდეოლოგიურ ნიშაზე, ფაქტია პარტიის წარმატებაში მისმა სახეებმა და განსაკუთრებით გიორგი თარგამაძის პერსონამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. თუ მაღალი ხარისხის ინსტიტუციონალიზაციაზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა პარტიათა გამოცდილებაა, ის თუ რა ისტორია აქვს მას, თუმცა ქართულ რეალობაში ამ კომპონენტის გათვალისწინება საჭირო არ აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ შექმნიდან 6 წლის შემდეგ, 2014 წელს, ლიდერის, გიორგი თარგამაძის პარტიიდან წასვლისთანავე ქრისტიან-დემოკრატიული პლატფორმა უბრალოდ გაქრა.

2012 წელს ბიძინა ივანიშვნილის, პოლიტიკაში შემოსვლით, განსაკუთრებით აშკარა გახდა პერსონების, როლი ქართულ პოლიტიკაში. საინტერესოა ის, რომ პოლიტიკური პარტია შექმნა ერთმა პიროვნებამ და შემდგომში მის ირგვლივ სხვადასხვა ჯგუფებმა დაიწყეს გაერთიანება. დასავლურ ქვეყნებში, პოლიტიკური პარტია ახდენს ლიდერთა რეკრუტირებას, ქართულ რეალობაში კი საპირისპირო სურათი გვაქვს - ლიდერი ქმნის პოლიტიკურ პარტიას. ქართული ოცნების პოლიტიკაში შემოსვლისთანავე იგრძნობოდა პერსონების როლი და მნიშვნელობა. 2011 წელს წინასაარჩევნო კამპანიისას, ბიძინა ივანიშვილმა კარგად გამოიყენა სხვადასხვა, საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები. ეს

[18] იხ : https://ka.wikipedia.org/wiki/ქრისტიან-დემოკრატიული_მოძრაობა

ადამიანები ჩართული იყვნენ პირდაპირ კომუნიკაციაში ამომრჩეველთან, გასცემდნენ ათასობით დაპირებას, რამაც საბოლოო ჯამში კარგად იმუშავა. ნიშანდობლივია ის, რომ 2017 წელს ჟურნალისტებთან შეხვედრისას, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მაშინ პოლიტიკური პროგრამა გზა და გზა იქმნებოდა, და გაცემულ დაპირებათა უდიდესი ნაწილი გადაჭარბებული აღმოჩნდა.[19] ის, რომ „ქართული ოცნება“ როგორც პოლიტიკური პარტია მეორე ხარისხოვანი იყო, ადასტურებს ბიძინა ივაშვილის იმდროინდელი სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუები, სადაც იგი სიამაყით აცხადებდა, რომ ამომრჩეველთა უმეტესობა, ხმა ქართულ ოცნებას სწორედ მისდამი ჭარბი ნდობის გამო მისცა. [20]აღსანიშნავია ის, რომ ქართული დემოკრატიულობის განვითარებისათვის, იმისათვის რომ პოლიტიკური ძალა გამხდარიყო წარმართველი და არა პერსონა, 2013 წელს ბიძინა ივანიშვნილი წავიდა პოლიტიკიდან. ჩემი აზრით, ამ ნაბიჯმა უბრალოდ გარეგნული სახე შეუცვალა პერსონიფიცირებას, როგორც პრობლემას, შინაარსი კი იგივე დარჩა. თუ მანამდე პოლიტიკური ლიდერები, თავადვე იყვნენ ხელისუფლების ოფიციალურ თანამდებობებზე, 2013 წლის შემდეგ, რეალურმა მმართველმა უბრალოდ კულისებში გადაინაცვლა, ძალაუფლება კი ისევ მის ხელში დარჩა. სხვადასხვა ინტერვიუებში, ქართული ოცნების მაღალი თანამდებობის პირები, აცხადებდნენ, რომ მნიშვნელოვანი ხასიათის გადაწყვეტილებები, ივანიშვნლთან თანხმდებოდა. რათქმაუნდა რთულია ისაუბრო იმაზე, მტკიცებით ფორმაში საუბარი ივანიშვნილის გავლენებზე საკმაოდ რთულია, თუმცა, ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსები გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაციებს, უკვე პოლიტიკიდან წასულ პირთან ათანხმებდნენ, მიუთითებს სისტემის არაჯანსაღ მუშაობაზე.

პერსონიფიცირების კლასიკური მაგალითი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. უდავოა ბიძინა ივაშვილის, როლი სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებაში. ამავე არჩევნებში გამოიკვეთა საკმაოდ საინტერესო ფაქტი, არჩევნების მეორე ტურში იმაზე მეტი

---

[19] ბიძინა ივანიშვნილის შეხვედრა ჟურნალისტებთან (2013) იხ : https://www.youtube.com/watch?v=l1fLuq64wLA

[20] „საინფორმაციო ანალიტიკური გამომცემლობა ნეტ-გაზეთი“ იხ. ვებგვერდზე www.netgazeti.com წვდომის თარიღი 18.05.2019

ადამიანი მივიდა არჩევნებზე ვიდრე ეს პირველ ტურში იყო, რაც როგორც წესი ასე არ ხდება. ჩემი აზრით არჩევნების მეორე ტურამდე, ერთი კვირით ადრე ბიძინა ივანიშვნილის ცნობილმა მიმართვა უზრუნველყო ამომრჩეველთა ამ რაოდენობის მობილიზება.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება წინგადადგმული ნაბიჯები, პერსონიფიცირების პრობლემის დაძლების საქმეში. კერძოდ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ ისეთი გაერთიანებები, როგორებიცაა „გირჩი“ და „ევროპული საქართველო“ . მიუხედავად იმისა, ვიზიარებ თუ არა ამ სუბიექტების პოზიციებს, ნათელია, რომ ამ ორგანიზაციებში პოლიტიკური შეხედულებები და ფასეულობები პერსონებზე უპირატესია. ამ ორ პოლიტიკურ პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც გარკვეული ფასეულობის და იდეის გარშემო გაერთიანდნენ. განსაკუთრებით პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“ საკმაოდ წარმატებით ახერხებს საკუთარი იდეოლოგიური ნიშის დამკვიდრებას საზოგადოებაში, იყენებს რა პარტიის საგანმანათლებლო ფუნქციას, ცდილობს გარკვეულწილად აამაღლოს ამომრჩევლის ცოდნა მთელ რიგ პოლიტიკურ და განსაკუთრებით ეკონომიკურ საკითხებში. გავეცანი რა მათ პლატფორმებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ ძალას საკმაოდ კარგად აქვთ ჩამოყალიბებული თავიანთი პროგრამული ხედვები, ისენი იზიარებენ კონკრეტულ იდეებს და შესაბამისად ამ უკანასკნელი ირგვლივ არიან შეკრებილნი.

პერსონიფიცირების პრობლემა, ერთ–ერთია, იმ პრობლემათაგან, რომელსაც ეფუძვნება ჩემს მიერ ჩამოყალიბებული ქვეჰიპოთეზა. რომელშიც საუბარია იმ საკითხებზე, რომელიც ასუსტებს ინსტიტუციონალიზაციას და ახალისებს დომინანტური სისტემის შექმნას. სწორედ ერთი ერთი პრობლემა პოლიტიკური სისტემის პერსონიფიცირებაა. კვლევის მიმდინარე ნაწილში, დანახვებულია ის თუ რას ნიშნავს პერსონიფიცირება და აგრეთვე ის თუ რას იწვევს პერსონიფიცირება საზოგადოებაში. როგორც ავღნიშნე მსგავსი ტიპის სისტემაში არსებობს საფრთხე ხელისუფლების უზურპაციისა, აგრეთვე ასეთ ვითარებაში იკლებს პოლიტიკური მანიფესტების როლი, რაც განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკურ პარტიებს ხშირს შემთხვევაში ხედვაც არ გააჩნიათ ზოგიერთი სფეროს განვითარებისა. შესაბამისად დაბალია პოლიტიკური კულტურისა და განათლების დონე, რაც სახელისუფლებო ინდივიდებს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესების

დაქვემდებარებით განახორციელონ ხელისუფლება, შესაძლებლობას აძლევთ მათ თავი აარიდონ დემოკრატიულ პრინციპებს, დაამკვიდრონ სისტემა, რომელიც მათთვის უფრო ზუსტად კი მათი ლიდერისთვისაა ხელსაყრელი, საზოგადოების აზრი ან არ არსებობს, ან მთლიანად იგნორირებულია. აღნიშნული პრობლემა სხვადასხვა ასპექტების შედეგადაა განპირობებული, თუმცა ფაქტია ის, რომ როცა ვსაუბრობთ სისტემის სწორად ფუნქციონირებაზე, ამ პრობლემის აღმოფხვრა პირველია რაც უნდა გაკეთდეს საზოგადოების მხრიდან.

ქართულ პოლიტიკას და შესაბამისად პოლიტიკურ პარტიებს არც თუ ისე დიდი წარსული აქვს, თუმცა ვფიქრობ, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ საკმაო დრო გავიდა იმისათვის, რომ მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა კონკურენცია გაუწიონ ერთმნეთს მხოლოდ საკუთარი ხედვების და პარტიული პროგრამების მიხედვით. რათქმაუნდა დასავლეთის ქვეყნებშიც, სადაც ბევრად მაღალია პოლიტიკური გამოცდილება, დიდი როლი ენიჭებათ პოლიტიკურ ლიდერებს, თუმცა იქ ეს უფრო მეორეხასირსხოვანია და პირველ ადგილას დგას პოლიტიკური პარტიების კონკრეტული ხედვები და ამა თუ იმ სფეროების განვითარების გზები, რომელიც გადამწყვეტი ხდება არჩევნის გაკეთებისას.

2.2 კომუნიკაციის საკითხი ქართულ პოლიტიკაში.

პოლიტიკურ პარტიათა ინსტიტუციონალიზაციის განმარტებისას, გამოკვეთილია ის ძირითადი აქცენტები, რაც მაღალი დონის სისტემის შექმნისათვისაა აუცილებელი. ნაშრომის პირველ თავში, სხვადასხვა ავტორისეული განმარტებების თანახმად, ცხადია, რომ პოლიტიკური პარტიები უნდა იქნეს გარკვეული სტრუქტურის და წესების ირგვლივ ჩამოყალიბებული, რომელიც საერთო იქნება მისი ყველა წევრისათვის. ამ სახით ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტია, ასევე გარანტია იმისა, რომ იგი სწორად ითანამშრომლებს ამომრჩეველთან, რომელიც თავის მხრივ, ინსტიტუციონალიზაციის შემადგენელი ნაწილია. კვლევის ამ ნაწილში, მინდა ვისაუბრო პარტიული კომუნიკაციის

საკითხზე. როგორია ქართული რეალობა? 1.შიდა პარტიულ დონეზე (პარტიის წევრებს შორის) 2.კომუნიკაციის ხარისხი ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის.

პოლიტიკურ პარტიათა კომუნიკაციაზე საუბრისას, საინტერესოა შიდა პარტიული კომუნიკაციის ხარისხი. ზედაპირეული შეფასებით, ჩანს რომ ქართული პარტიების სტუქტურაში პრობლემატური საკითხია პარტიის წევრობა და შიდა პარტიული დემოკრატია, ქართულ პარტიებში, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იღებს გადაწყვეტილებებს, იგივე პარტიული ყრილობის შემთხვევაშიც კი ბევრია იმის მაგალითი , რომ პარტიული პროგრამა რამდენიმე პიროვნების შედგენილია და დანარჩენები უბრალოდ „ხელის ამწევებად“ გვევლინებიან. ერთ-ერთი საინტერესო კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით 2010 წელს, ებერტის ფონდის[21] დაფინასნებით იქნა ჩატარებული. „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ მომზადებული იქნა ანგარიში, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი საკითხი შიდა პარტიული კომუნიკაცია იყო. კერძოდ ანგარიშის მიხედვით პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები[22] : 1) ოფისებში არ აქვთ დანერგილი კომუნიკაციის ზოგადადმიღებული წესები და საქმის წარმოების ელემენტარული წესები (ზოგიერთ შემთხვევაში, ელექტრონული წერილი დაიკარგა და აუცილებელი გახდა მისი ახლიდან გაგზავნა) 2) ბევრ შემთხვევაში პრაქტიკულად არ არსებობს შიდაორგანიზაციული კომუნიკაციის არხები. მაგალითად, ოფისის წარმომადგენელი ხელმძღვანელის ოფისში არ ყოფნის/თბილისში ან საქართველოში არ ყოფნის შემთხვევაში, არ მიიჩნევს აუცილებლად გააგებინოს ხელმძღვანელს წერილის შინაარსი ტელეფონით ან ელ.ფოსტით. 3) უმეტეს შემთხვევაში სახეზეა პარტიების (როგორც ორგანიზაციის) სრული ცენტრალიზაცია. ლიდერთან/ებთან შეთანხმების გარეშე პარტიის წარმომადგენლები თუნდაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი წარმომადგენლები, თავს იკავებენ ინფორმაციის მოწოდებისაგან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ საჯარო დოკუმენტს,

[21] ებერტის ფონდი დაარსდა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის დემოკრატიის განსავითარებლად და შრომითი ურთიერთობების ხელშესაწყობად. იხ, ვებგვერდი www.fee.ge/geo წვდომის თარიღი 22.05.2019

[22] „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი. იხ: ვებგვერდზე www.fees.ge/ge/images/fees-file/2010-GEO/report%20pp.pdf. წვდომის თარიღი 22.05.2019

როგორიცაა პარტიის პროგრამა. 4) ზოგიერთი პარტიის შემთხვევაში, ადმინისტრაციული თვალსაზრისით არ არის დაყოფილი ფუნქციები. მაგალითად, პროგრამების მოწოდების პროცესში, აუცილებელი გახდა პარტიის რამდენიმე წარმომადგენლისათვის პროექტის მიზნების ახნა, რათა მიზნობრივად მომხდარიყო პასუხისმგებელ პირთან დაკავშირება.

შემდეგი და მნიშვნელოვანი ასპექტია კომუნიკაციის ხარისხი პარტიებსა და ამომრჩეველს შორის. კვლევის მთავარი თეორის ავტორი, დიუვერჟე, პოლიტიკური სისტემის შეფასებისას ერთ-ერთ კომპონენტად იყენებს იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებს პოლიტიკური პარტიები სისტემის გარეთ, ანუ ელექტორატთან. (Duverger., 1964). კვლევის ამ ნაწილში, მინდა წარმოვადგინო საქართველოში არსებული ვითარება, ის, რომ საქართველოში პოლიტიკური კომუნიკაციის ხარისხი დაბალია, შესაბამისად განაპირობებს სისტემის დომინანტურ ხასიათს.

დიაგრამა 1_ში[23] წარმოდგენილია, NDI_ს მიერ, საქართველოში სხვადასხვა წლებში ჩატარებული გამოკითხვა. კვლევის შეკითხვა იყო შემდეგი : ხვალ, რომ არჩევნები ტარდებოდეს რომელ პოლიტიკურ გაერთიანებას/პარტიას/კანდიდატს მისცემდით ხმას? დიაგრამაზე წარმოდგენილია ე.წ გადაუწყვეტელი ამომრჩევლის პროცენტული განაწილება (რესპოდენტების, რომლებმაც პასუხად გასცა „არ ვიცი“)

[23] „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ (2010-2018). “NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში (2010-2018 წწ) დიაგრამა აგებულია მონაცემთა ანალიზის შედეგად, ვებგვერდზე www.caucasusbarometer.org წვდომის თარიღი 24.05.2019



ის, რომ 2010-2018 წლებში ელექტორატის 50% ან მეტი გადაუწყვეტელი ამომრჩეველია მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკურ პარტიასა და ამომრჩეველს შორის, კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა დგას. ეს მონაცემები ამბობს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა არ/ვერ იმუშავეს საკმარისად მოსახლეობასთან, და ვერ მოახდინეს სწორად ინფორმაციის მიწოდება მათთვის.

ყველაზე აქტიური კომუნიკაცია, პოლიტიკურ პარტიებს და მოსახლეობას შორის წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარეობს, რაც გასაკვირი არ არის. თუმცა არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში, კომუნიკაციის ხარისხი ნულამდეა დაყვანილი. ქართულ რეალობაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოვკვეთოთ რამდენიმე ფორმა კომუნიკაციისა, რომელიც მართალია პერიოდულად გარეგნულად იცვლებოდა, თუმცა თვისებრივად და შინაარსობრივად იგივე დარჩა. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში პოლიტიკური ველი პერსონიფიცირებულია, პოლიტიკური პარტიები იყენებენ პირდაპირი

კომუნიკაციის მეთოდს, რაც კარგად მუშაობს. პარტიის წარმომადგენლები, ძირითადად ლიდერები ხვდებიან ამომრჩევლებს და აცნობენ თავიანთ პროგრამებს. ხშირად ელექტორატისათვის პარტიული ლიდერი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე პარტიული პროგრამა. პერსონიფიცირების პირობებში, კომუნიკაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ქარიზმატული ლიდერი. ემოციური გამოსვლები, პატრიოტული სულისკვეთება კარგად მუშაობს, ელექტორატთან კომუნიკაციისას. სხვა, მეორე ფორმაა, საინფორმაციო ხასიათის კომუნიკაცია, იგი აქტიურად გამოიყენება საქართველოს პოლიტიკური პარტიების მხრიდან. სამწუხაროდ, დანერგილია კომუნიკაციის ცუდი და არასამართლებრივი პრაქტიკაც. რომლის ფაქტობრივი დადასტურებაც თითქმის შეუძლებელია, რადგან მასზე პარტიები არ ლაპარაკობენ, როგორც კომუნიკაციის ფორმაზე. თუმცა საზოგადოებაში და მედიაში ხშირია საუბარი კომუნიკაციის იმგვარ ხასიათზე, რომელიც ამომრჩევლის მოსყიდვას ან დაშინებას გულისხმობს. ფულის ან სხვა მატერიალური დახმარების სანაცვლოდ, საარჩევნო სუბიექტები, ამომრჩეველთა ხმებს „ყიდულობენ“. ძალაუფლებისკენ სწრაფვა, კომუნიკაციის არაკანონიერი გზებისაკენ უბიძგებთ კანდიდატებს. ამ ტიპის კომუნიკაცის ფორმები განსაკუთრებით გავრცელებულია რეგიონებში. მატერიალური სიდუხჭირე მოსახლეობას აიძულებს, გარკვეული ერთჯერადი დახმარების სანაცვლოდ „გაყიდონ“ საკუთარი ხმები. ამ ფაქტის დასადასტურებლად საკმარისია, ბოლო 2018 წლის არჩევნების გახსენებაც. ფაქტიურად მედიასაშუალებებით ყოველდღიურად ვრცელდებოდა კადრები, თუ როგორ არიგებდა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები სხვადასხვა სახის პროდუქტებს თუ ფულად რესურსებს წინა საარჩევნოდ. ფაქტია ისიც, რომ ასეთი ტიპის კომუნიკაცია დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები კარგად სარგებლობენ იმით, რომ ამომრჩევლის უდიდესი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა. ამ ტიპის კომუნიკაციაშიც კი კარგად ჩანს ის, რომ რეალურად პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირება არა იდეოლოგიური არამედ უფრო მეტად რესურსების ბრძოლაა.

საქართველოს პარლამენტი, არის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც შედგება პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრებისაგან.

შესაბამისად დღევანდელ პოლიტიკურ, პარტიულ ცხოვრებაში მაჟორიტარი კანდიდატები ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია. იდეურად მათ უნდა განახორციელონ დემოკრატიის წარმომადგენლობითი ფუნქცია. ისინი ყველაზე ახლოს უნდა იდგნენ საკუთარი რეგიონის ამომრჩვლებთან და შესაბამისად იცნობდნენ მათ პრობლემებს. პოლიტიკური კომუნიკაციის შეფასებისას, საინტერესოა რა ვითარებაა ამ მიმართულებით საქართველოში. დიაგრამა 2_ ში[24] წარმოდგენილია NDI_ს მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევა. კვლევის შეკითხვა იყო შემდეგი : „საკრებულოში საკუთარი მაჟორიტარი დეპუტატების ცოდნა“ (%). დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ რესპოდენტების პროცენტული განაწილება, რომლებიც არ იცნობდნენ საკუთარ მაჟორიტარს.

[24] „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ (2010-2018). “NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში (2010-2018 წწ) დიაგრამა აგებულია მონაცემთა ანალიზის შედეგად, ვებგვერდზე www.caucasusbarometer.org წვდომის თარიღი 24.05.2019



აღნიშნულიდან ჩანს, რომ გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი საერთოდ არ იცნობს, მის მაჟორიტარ დეპუტატს. მაჟორიტარმა დეპუტატებმა თავად უნდა აამაღლონ თავიანთი ცნობადობის ხარისხი ამომრჩეველში, მათთან კომუნიკაციის საშუალებით. ცხადია, რომ ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები არსებობს. ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ პოლიტიკური პარტიებს და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის ხარისხი საკმაოდ სუსტია.

პოლიტიკურ კომუნიკაციაზე საუბრისას, აუცილებელად უნდა ვთქვათ მის თანმდევ ასპექტებზე. ის, რომ მოსახლეობასა და ამომრჩეველს შორის კომუნიკაციის ხარისხი დაბალია, განაპირობებს იმას, რომ შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობა იკლებს. ამას ადასტურებს 2012-2017 წლებში NDI_ს მიერ ჩატარებული კვლევები, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა 21% დან 7% მდე შემცირდა. 2019

წელს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარის ლევან კახიშვილის მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტი, რომელიც აანალიზებს პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობას საქართველოში. იგი ნდობის შეფასებისას ერთ-ერთ კომპონენტად იყენებს კომპეტენციას. „მიმნდობს ამ შემთხვევაში ქართულ საზოგადოებას უნდა სწამდეს, რომ ნდობის ობიექტს, პოლიტიკურ პარტიებს, შეუძლიათ ამომრჩევლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა.“ [25] ცალსახად ნათელია ის, რომ დაბალი კომუნიკაციის პირობებში, მოსახლეობის მხრიდან ნაკლებია ნდობა პოლიტიკური პარტიებისადმი, რადგან მათ ეჭვი ეპარებათ ან/და წარმოდგენა არ აქვთ პოლიტიკური გაერთიანების კომპეტენციის შესახებ. აღნიშნული კვლევის ერთ-ერთ ავტორისეულ დასკვნას წარმოადგენს ის, რომ ქართველ ამომრჩევლებს არ სწამთ, რომ პოლიტიკური პარტიები, ამა თუ იმ სფეროში (ჯანდაცვა, უსაფრთხოება, განათლება, ეკონომიკა) კომპეტენტურნი არიან. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი შესაძლოა, პოლიტიკური პარტიების, მათი ფინანსების , აქტივობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის შედეგი იყოს.[26] მე სრულიად ვიზიარებ ავტორის ამ პოზიციას. იმ პირობებში, როცა ამომრჩევლის უდიდეს ნაწილი, ე.წ გადაუწყვეტელ ამომრჩეველს წარმოადგენს, როცა ელექტორატის დიდი ნაწილი არ იცნობს, საკუთარ მაჟორიტარს, იკლებს სანდოობის ხარისხი და ეჭვის ქვეშ დგება პარტიული კანდიდატების კომპეტენციის საკითხი.

შეკითხვაზე, რა როლი აქვს კომუნიკაციის ხასიათს, სისტემის ინსტიტუციონალიზაციისათვის, ბინგჰემტონის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი დავიდ კლერკი პასუხობს : განვითარებული ქვეყნების სისტემებში, როგორიცაა ამერიკა, ინსტიტუციონალიზაციის შეფასებისათვის პირველ რიგში ამომრჩევლის და პარტიათა ურთიერთქმედება უნდა გაანალიზდეს. ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ვითარება სტაბილურია, საზოგადოების ბუნება პოლიტიკურად აპათიური ხდება, მათი

---

[25] ციტირებულია : ლევან კახიშვილი - „ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია - რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება?“ პოლიტიკის დოკუმენტი #17. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (2019). წვდომის თარიღი 23.05.2019

[26] ციტირებულია : ლევან კახიშვილი - „ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია - რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება?“ პოლიტიკის დოკუმენტი #17. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (2019). წვდომის თარიღი 23.05.2019

დიდი ნაწილისთვის, მნიშვნელობა ეკარგება პოლიტიკური სუბიექტების არსებობას. (რაც არჩევნებში, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე, დაბალი აქტივობითაა გამოხატული) ამ პირობებში კი პოლიტიკური კომუნიკაციის როლი განსაკუთრებულია. პოლიტიკური ორგანიზაციები, მუდმივ ურთიერთქმედებაში უნდა იყვნენ ამომრჩეველთან, რათა მათ არ დაჰკარგონ პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განცდა. *[პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი დავიდ კლერკი 20.04.2019]*

პოლიტიკურ პარტიათა ინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც სხვა მრავალ ასპექტთან ერთად, მაღალი დონის პოლიტიკურ კომუნიკაციასაც გულისხმობს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე, დანახვებულია ის, რომ კომუნიკაციის არარსებობის პირობებში, მოსახლეობაში ჩნდება უნდობლობის განცდა პოლიტიკური სუბიექტებისადმი, რაც ჩანს იქედანაც, რომ ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გადაუწყვეტელ ამომრჩეველს წარმოადგენს. მეორეს მხრივ, ასეთ პირობებში არჩეული პოლიტიკური სუბიექტები კარგავენ ანგარიშვალდებულებას საზოგადოების მიმართ, ისინი პასუხისმგებელნი ხდებიან, მხოლოდ წარმდგენი პარტიისადმი. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ კარგ გარემოს უქმნის დომინანტური სისტემის ჩამოყალიბებას და ძალაუფლების განმტკიცების პროცესს.

2.3 პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობა, კავშირი კლასიკურ იდეოლოგიებთან

პოლიტიკური იდეოლოგია, წარმოადგენს გარკვეულ იდეათა და ღირებულებათა ერთობლიობას. იგი პროცესია, რომელიც ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს თუ სახელმწიფოს აძლევს მიმართულებებს იმის შესახებ თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური წესრიგი. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური იდეოლოგია ისტორიულ როლს ასრულებს ინდივიდის ჩამოყალიბების პროცესში. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი სახელმწიფოთა მთავარი განმასხვავებელი ნიშანიც სწორედ იდეოლოგიურ ცნობიერებას უკავშირდებოდა. თანამედროვე სამყაროში, პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი „მომწოდებლები“ პოლიტიკური პარტიები არიან. ადამიანთა ჯგუფი, საკუთარი ღირებულებებისა და მრწამსის მიხედვით ერთიანდებიან, კონკრეტული იდეოლოგიის ქვეშ და ამგვარად ცდილობენ საკუთარი თავის მიწოდებას ამომრჩევლისათვის. შესაბამისად პოლიტიკურ პარტიებზე საუბრისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად კავშირშია პარტიული იდეოლოგია მათ პროგრამულ და პრაქტიკულ საქმიანობასთან.

პარტიათა ინსტიტუციონალიზაციაზე საუბრისას, ავღნიშნე, რომ კარგად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში პოლიტიკური პარტიები გარკვეული წესების და სტრუქტურის ირგვლივ არიან გაერთიანებულნი. თავის მხრივ ამ ღირებულებათა ერთობის საფუძველს პოლიტიკური იდეოლოგიები ასაზრდოებს. შესაბამისად ქართულ პოლიტიკური რეალობის განხილვისას აუცილებელია დავინახოთ ის, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში ამ მიმართულებით. კვლევის წინა ნაწილში საუბარი მქონდა პოლიტიკურ პარტიათა პერსონიფიცირების საკითხზე ქართულ პოლიტიკაში. სწორედ ის, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები მხოლოდ პერსონების გარშემო არიან გაერთიანებულნი, სერიოზულად ამცირებს იდეოლოგიური კუთვნილების ხარისხსს. მეორე და მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ საქართველოში საკმაოდ დაბალია

პოლიტიკური კულტურა, რაც განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკური პარტიები მხარდაჭერის მოპოვებისთვის იყენებენ პოლიტიკური ოპონენტის შეურაწყოფის და არა არგუმენტირებული კრიტიკის მეთოდს. პარტიული პროგრამების წარდგენის ნაცვლად, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმები, პოლიტიკური პარტიები ძირითადად ოპონენტების შეურაცყოფის ხარჯზე ცდილობენ წარმატების მიღწევას, რაც რათქმაუნდა მათში პოლიტიკური კულტურის დაბალი დონითაა განპირობებული. [27]თუმცა გარდა პოლიტიკური კულტურისა აქ სხვა ასპექტიც არსებობს, რომელიც უფრო ძირითადია, პოლიტიკური პარტიები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იდეოლოგიურ მახასიათებელს, იდეოლოგიური მახასიათებელი კი ერთ–ერთი მთავარია, რომელიც წყვეტს პოლიტიკური საქმიანობის დღის წესრიგს, საქართველოს შემთხვევაში კი ძირითადი საკითხების და პროგრამების შეთავაზება სლოგანების დონეზე ფორმულირდება.

ყოველგვარი იდეოლოგიური მიმდინარეობა, იქნება ეს ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, კომუნიზმი, ფაშიზმი, ფემინიზმი თუ სხვა, საკუთარ ინტელექტუალურ ჩარჩოებს და პარადიგმებს ქმნის და პოლიტიკური რეალობის, სამყაროს ხედვის თავისებურ აღქმას გვთავაზობს. სამყაროს აღქმაში იგულისხმება ის, რომ იდეოლოგიური მსოფლმხედველობის მიხედვით ხდება სახელმწიფოებში მართვა–გამგეობის წარმათვა, სწორედ იდეოლოგიური მახასიათებელი განაპირობებს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას დასავლურ დემოკრატიებში.

როცა ვსაუბრობთ პოლიტიკურ პარტიებზე, ვფიქრობ, ყველაზე კარგად იდეოლოგიური მახასიათებელი გამოხატულია პოლიტიკური პარტიების სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში და მათ შესაბამის პროგრამებში. ქართული პოლიტიკური პარტიული სისტემა ამ მიმართულებითაც საკმაოდ სუსტადაა განვითარებული. ანალიზის შემთხვევაში ნათელია, რომ საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობას არ გააჩნია წერილობით ჩამოყალიბებული პროგრამა და მათი საქმიანობა ძირითადად ზეპირ

[27] ტუკვაძე რატი, ტუკვაძე ავთანდილი (2000) – იხ. „პოლიტოლოგიის საკითხები“ ნაწ3

მოსაზრებებს ეყრდნობა. 2010 წელს ებერტის ფონდის[28] დაფინანსებით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს, სწორედ სააქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების ანალიზი წარმოადგენდა, კვლევამ რამდენიმე ნიშანდობლივი ტენდენცია გამოავლინა.[29] 1)როგორც წესი, პოლიტიკური პარტიების პროგრამების მომზადება წინასაარჩევნოდ ხდება და მათი გადამუშავება შემდეგ არჩევნებამდე არ ხდება. 2)საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ლიბერალური ეკონომიკის მომხრეა, თუმცა გარკვეული ზომიერი სახელმწიფო რეგულირების ფონზე 3)ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიის მიერ აღიარებული იდეოლოგიური ნიშა არათავსებადია მათ საქმიანობასთან, იქნება ეს ეკონომიკური თუ სოციალური მიმართულება.

ის, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები აცდენილნი არიან იდეოლოგიურ მახასიათებლებს სხვა მიზეზების გარდა ეკონომიკური ფაქტორითაცაა განპირობებული. მძიმე სოციალური და ფინანსური სიტუაცია ხელსაყრელ პირობებს უქმნის პოლიტიკურ პარტიებს აპელირება მოახდინონ სოციალური პროგრამებით. სწორედ ამ გზით ცდილობენ პოლიტიკური პარტიები მხარდაჭერის მოპოვებას. სწორედ აღნიშნული ფაქტორია, ერთ–ერთი განმაპირობებელი იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები მიუხედავად, თუნდაც სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური ღირებულებებისა, ხშირად აკეთებენ აქცენტებს სოციალური ტიპის პროგრამებზე. ამ მხრივ საინტერესოა ნაციონალური მოძრაობის მაგალითი.

2003 წელს ტრიუმფალურად ჩატარებული ვარდების რევოლუციის[30] შემდეგ, ქვეყნის სათავეში მოექცა ადამიანთა ჯგუფი, რომელთა პოლიტიკური იდეოლოგიური მახასიათებელი საკმაოდ ბუნდოვანი იყო. პოლიტიკური იდეოლოგიური ნიშა მაშინ ძალიან ზოგადი იყო. ლიდერთა ჯგუფს ქვეყანა დემოკრატიზაციის გზაზე უნდა დაეყენებინა და

---

[28] ებერტის ფონდი დაარსდა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის, დემოკრატიის, განვითარებისა და შრომითი ურთიერთობების განსავითარებლად და ხელშესაწყობად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. : http://fes.ge/geo/ წვდომის თარიღი, 15.04.2019

[29] ციტირებულია, წყარო : „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ იხ. კვლევა: http://fes.ge/geo/images/Fes_Files/2010-GEO/report%20pp.pdf წვდომის თარიღი 15.04.2019

[30] https://ka.wikipedia.org/wiki/ვარდების_რევოლუცია. წვდომის თარიღი 15.04.2019

დაემარცხებინა კორუფცია, თუმცა კონკრეტულად რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო აღნიშნული თითქმის გაურკვეველი იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ნაციონალული მოძრაობა მკვეთრად გამოხატული ლიბერალური ტიპის პარტიად ყალიბდებოდა, მათ შორის ეკონომიკის სფეროს მიმართულებითაც. პრობლემებმა მალევე 2006-2007 წლებში იჩინა თავი. 2007 წელს კახა ბენდუქიძე ამბობდა, რომ ისეთი ტიპის პარტია, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა არ უნდა უშვებდეს სახელმწიფოს მხრიდან ამ რაოდენობის სუფსიდირებებს, ეს უბრალოდ აბსურდია.[31] მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, შექმნისთანავე ლიბერალური პოლიტიკისა და ეკონომიკის ამღიარებელი იყო,[32] ლიბერალური პრინციპების უხეში დარღვევით პარტიის მესვეურნი მაინც ზრდიდნენ სოციალურ ვალდებულებებს. ამის მაგალითია ჯანდაცვის სისტემა ნაციონალური მოძრაობის პერიოდში. რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული ჯგუფების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას.(ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდში) აგრეთვე პოპულისტური და ამომრჩეველზე გათვლილი იყო ნაციონალური მოძრაობის მიერ 2007-2011[33] წლებში შემოღებული ე.წ სახელმწიფო ვაუჩერების პროგრამა, რომელიც კომუნალურ და სოფლის მეურნეობის ვაუჩერებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემას ითვალისწინებდა. რათქმაუნდა მსგავსი ტიპის ვალდებულებები ეწინააღმდეგება ლიბერალური ეკონომიკის პრინციპს. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთის მხრივ ნაციონალური მოძრაობა კონკრეტული ღირებულებების ირგვლივ იყო გაერთიანებული, მისი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში აცდენილი იყო იდეოლოგიურ მახასიათებელთან.

წლების განმავლობაში სხვადასხვა, ინტერნეტ-გამოცემები ატარებენ კვლევებს ე.წ „მდუმარე“ დეპუტატების გამოსავლენად. ცალსახად ფაქტია ის, რომ პოლიტიკურ პარტიებში ადამიანთა დიდ ნაწილს საერთოდ არ აქვს გააზრებული იმავე პარტიის იდეოლოგიური ნიშა. მაგალითისათვის 2015, 2016, 2017, 2018 წლებში ჩატარებული კვლევის თანახმად სახეზე გვაქვს ე.წ 30 „მდუმარე“ დეპუტატი, რომელთაც არასდროს უსარგებლიათ

---

[31] საარქივო მასალები, ვიდეოპორტალ “youtube.com” – “კახა ბენდუქიძე 1954-2014“. იხილეთ - https://www.youtube.com/watch?v=GBiWUzwdkvM . წვდომის თარიღი 12.04.2019

[32] იხ: http://unm.ge/ წვდომის თარიღი 12.04.2019

[33] იხ წყარო:http://www.tavisupleba.mobi/a/24489936.html წვდომის თარიღი 15.04.2019

სიტყვის უფლებით.[34] წინა წლებში მაგალითისათვის 2007-2009 წლებში ეს რიცხვი 60 კი უტოლდება.[35] იდეოლოგიური საფუძველი, პოლიტიკოსის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან რომ სრულიად არალერევანტურია სჩანს იქედანაც, რომ მაგალითისათვის გია გაჩეჩილაძე,[36] რომელიც 2013 წლიდან ქართული ოცნების შემადგენლობაში ირიცხება, როგორც „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, ქართულ საკანონმდებლო ბაზაში არ ირიცხება არც ერთი დაწერილი და ინიცირებული კანონპროექტი გარემოს დაცვის თემაზე.[37]

იდეოლოგიურ ნიშასა და პრაქტიკულად განცხორციელებულ საქმიანობას შორის კავშირის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა ქართული ოცნების მაგალითი[38]. ქართული ოცნების პოლიტიკური კურსი 2012 წლიდან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოციალ–დემოკრატია იყო, სწორედ მემარცხენე ტიპის იდეები იყო დამახასიათებელი ამ კოალიციისთვის. კოალიციის ლიდერები ამბობდნენ, რომ ისინი მხარს უჭერდნენ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს და შერეული ეკონომიკის ტიპით სურდათ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა და საერთო ეკონომიკური ეფექტის მიღება. რამდენად მოხდა ეკონომიკური განვითარება ეს სხვა განსჯის საკითხია, თუმცა რეალურად შესაძლოა ითქვას, რომ ქართული ოცნების მიერ აღიარებული პოლიტიკური კურსი თანხვედრაშია სოციალ–დემოკრატიულ იდეებთან. სახელმწიფო დონეზე სოციალური ვალდებულებები ყველაზე პრიორიტეტულია და ამის დასტური არის ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი ჯანდაცვის სამინისტროზე ნაწილდება, სწორედ სოციალური პროგრამებისთვის. (საუკეთესო მაგალითი: საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა).[39]

მეორე საკითხია როგორი სიტუაცია იყო ამ მხრივ შიდაკოალიციურ დონეზე? შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ აქ სრული ქაოსი სუფევდა. 2012 წელს ქართული ოცნება–

---

[34] იხ : https://on.ge/story/31970-35-დეპუტატი-რომელსაც-2018-წელს-პარლამენტის-პლენარულ-სხდომაზე-ერთი-სიტყვაც-კი-არ-უთქვამს?fbclid=IwAR3xl4EKTg-QmGUrQmiF7gIjnPmMVDC7a9G_6fEVrn5OVLvkVgkIGEuXjYE. წვდომის თარიღი 16.04.2019

[35] იხ: https://www.bm.ge/ka/article/quotmdumare-deputatebiquot-me-9-mowvevis-parlamentshi-/164 წვდომის თარიღი 16.04.2019

[36] საქართველოს პარლამენტის წევრი, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, იხ : http://www.parliament.ge/ge/mp/2041

[37] http://news.ge/ka/article/giagachechiladze-kanonproeqti/981293

[38] პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ პარტია შეიქმნა 2012 წელს იხ ; http://41.ge/

[39] იხ : https://www.moh.gov.ge/ka/529

დემოკრატიულმა საქართველომ გაერთიანა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობის პარტიები. რომელთაც სრულიად განსხავებული ხედვები ჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, საგარეო კუსთან და სხვა ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშრებით. ქართული ოცნება არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ რამდენად უმნიშვნელოა პოლიტიკური პარტიებისათვის იდეოლოგიური ნიშა საქართველოში. კოალიციური ტიპის მართვა გამგეობა ევროპულ ტიპის დემოკრატიებშიც გამოცდილი მეთოდია. თუმცა დასავლური გამოცდილებით, პოლიტიკურმა პარტიებმა მათგან მკვეთრად განსხვავებულ ძალასთან კოალიცია შესაძლებელია შეკრან, არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების დასაკომპლექტებლად. საქართველოს რეალობაში კი, სახეზე იყო პარადოქსი, როდესაც სრულიად განსხვავებული ხედვის მქონე პოლიტიკური ძალები, არჩევნების ჩატარებამდე გაერთიანდნენ ქართული ოცნების კოალიციაში და მშვენივრად შეძლეს თანაარსებობა ოთხი წლის განმავლობაში. ეს ფაქტი დასტურია იმისა, თუ რამდენად არ სცემენ პატივს პოლიტიკური პარტიები, საკუთარ ღირებულებებს, იგი ძალაუფლებისთვის ბრძოლის პროცესში საერთოდ უმნიშვნელო ხდება.

კვლევის პირველ თავში დანახვებულია ის, რომ პოლიტიკის მეცნიერებათა მკვლევრები, მიიჩნევენ, რომ უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებულ სისტემებში პოლიტიკური პარტიები ღირებულებებისა და ფასეულობების ქვეშ ყალიბდებიან და ისინი არ წარმოადგენენ მექანიკურ გაერთიანებას. ასეთი ტიპის პოლიტიკური პარტიები არის გარანტი სისტემის სტაბილურობისა, რაც შემდგომში სახელმწიფოს სწორ განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. ის, რომ ქართულ რეალობაში პოლიტიკურ, პარტიული იდეოლოგიები უგულებელყოფილია განაპირობებს იმას, რომ წლების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს, სხვადასხვა სფეროების განვითარების ერთი ჩამოყალიბებული სტრატეგია არ გააჩნია და იგი იცვლება ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად. ასევე ეს ფაქტორი ამცირებს, პოლიტიკური კულტურის დონეს, პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას საგანმანათლებლო ფუნქცია წარმოადგენს. იდეოლოგიური ნიშის არ არსებობის პირობებში მოსახლეობა კანდიდატს იდეოლოგიებისა და პროგრამების მიხედვით კი არ აძლევს ხმას, არამედ სხვა კრიტერიუმებით. საქართველოში ჯერ კიდევ არ

არსებობს გამოხატული იდეოლოგიური მიმართულებები. შესაბამისად ეჭქვეშ დგება პოლიტიკური პარტიების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური საქმიანობის ეფექტი. ძირითად შემთხვევებში პოლიტიკური პარტიები, იბრძვიან სახელისუფლებო ადგილებზე პოზიციების შენარჩუნებისთვის. როგორც ავღნიშნე საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შეჭირვებულია, შესაბამისად კარგი ნიადაგია სოციალური პროგრამების გატარების გზით მხარდამჭერთა მოპოვებისათვის. სწორედ ეს განაპირობებს, იდეოლოგიური ნიშის უგულებელყოფას და საბოლოო ჯამში პრობლემას უქმნის პოლიტიკურ პარტიულ სისტემას.

2.4 პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების საკითხი

როგორც ჰანტიგტონი აღნიშნავს, პოლიტიკურ პარტიათა ინსტიტუციონალიზაცია, გულისხმობს სისტემის შიგნით კონკურენტული გარემოს არსებობას.(Huntigton., 1968) ლაპარაკია იმაზე, რომ სისტემის შემადგენელი ნაწილები თანაბარ პირობებში უნდა თანაარსებობდნენ,რათა უზრუნველყონ სისტემის მდგრადობა და ეფექტურობა. კვლევის ამ ნაწილში მინდა ვისაუბრო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსებაზე, რომლებსაც თავის მხრივ იყენებენ პოლიტიკური პარტიები არჩევნების ან წინასაარჩევნო პერიოდში. როდესაც ვსაუბრობთ დომინანტური სისტემის წახალისებაზე, ფული ის, ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც სახელისუფლებო პარტიებს უქმნის შესაძლებლობას გაიხანგძლივონ საკუთარი პოზიციები.

იმისათვის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა სრულყოფილად შეასრულონ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობანი, ესაჭიროებათ ფინანსური რესურსები. ცალსახად ფაქტია, რომ კარგი ფინანსური მდგომარეობა, პარტიული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. გამომდინარე იქედან, რომ ფინანსებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკაში, დგება აუცილებლობა იმისა, რომ იგი სწორად იქნას დარეგულირებული საკანონმდებლო დონეზე. პოლიტიკაში ფინანსური რეგულაციები თანაბარ, ან მეტ-ნაკლებად თანაბარ პოზიციაში უნდა აყენებდეს მასში შემავალ სუბიექტებს. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, პოლიტიკური

სისტემა იხრება უფრო მეტად დომინანტური ხასიათისაკენ, როცა ფინანსურად მძლავრი პოლიტიკური გაერთიანებანი მუდმივად ცდილობენ ხელისუფლების შენარჩუნებას.

საქართველოში დღეს არსებული საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს პარტიული დაფინანსების სამ ძირითად წყაროს : 1) საწევრო შენატანები 2)შემოწირულობანი 3)საბიუჯეტო დაფინანსება. [40] სწორედ ამ საშუალებებით შეუძლიათ პოლიტიკურ პარტიებს მოიძიონ ფინანსები და განახორციელონ საკუთარი საქმიანობა. კვლევის ამ ნაწილში მინდა ვისაუბრო ამ მიმართულებებზე, თუ რა რეალობა გვქონდა საქრთველოში და როგორ უწყობს ხელს ფინანსების არათანაზომიერი განაწილება დომინანტური სისტემის წახალისების პროცესს.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ხარჯთაღრიცხვები და დეკლარაციები განთავსებულია, „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ [41]ვებგვერდზე, აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ყველა მოქალაქეს აქვს მასზე წვდომა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ამ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის საშუალებით მე დავაკვირდი საქართველოს პარლამენტში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს, და გამოიკვეთა რამდენიმე ნიშანდობლივი ტენდენცია : საქართველოში არსებულ პარტიათა ხარჯთაღრიცხვები საკმაოდ რთულია, ამის მიზეზი ერთიანი სისტემის არარსებობა გახლავთ. ზოგიერთი პარტია ხარჯებს 4-5 კატეგორიად ჰყოფს, ზოგს გაცილებით დეტალური ხარჯთაღრიცხვა აქვს წარმოდგენილი. ვითარებას ართულებს ისიც, რომ პარტიათა დიდი ნაწილი ხარჯებს ე.წ. „სხვა ხარჯების“ გრაფაში აერთიანებს (არის შემთხვევები, როცა ამ გრაფაში მთლიანი ხარჯის 70% კი ხვდება). ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ცესკოს, მხოლოდ პარტიათა ფინანსების შესახებ ინფორმაციის თავმოყრის ვალდებულება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ უშუალოდ ხარჯვით პროცესზე მონიტორინგი თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად, მრავალი სხვადასხვა ხარვეზი თუ არათანმიმდევრულობა, რომელიც ფინანსების გახარჯვის პროცესში იკვეთება რეაგირების გარეშე რჩება.

---

[40] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია (CESKO) - იხ ; http://cesko.ge/geo/list/show/18779-http:/funding.cec.gov.ge წვდომის თარიღი 23.05.2019

[41] იხ : https://www.napr.gov.ge

2012 წლის 20 აგვისტოს, „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტი, რომელიც აანალიზებს 2007-2011 წლებში პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების საკითხს.[42] აღნიშნულ დოკუმენტში რამდენიმე საინტერესო ტენდენცია იქნა გამოკვეთილი. კერძოდ, ამ პერიოდში საბიუჯეტო დაფინანსების კუთხით ლიდერობდა ნაციონალური მოძრაობა, პარტიამ ყველაზე უფრო მეტი ფული მიიღო ბიუჯეტიდან. 2011 წლამდე საწევრო შენატანები კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა, შესაბამისად საკმაოდ ბუნდოვანი იყო ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიებში წევრთა მიერ გაღებული ფინანსები. საინტერესოა ისიც, რომ იმდროინდელი სახელისუფლებო პარტიის, ნაციონალური მოძრაობის,შემომწირველი იყო ორი იურიდიული კომპანია, („გაზმშენი94“ და „უნივერსალი93“) მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სხვადასხვა კომპანიაა, რეალურად იგი ერთი კონკრეტული ფიზიკური პირის საკუთრებაში გახლდათ. აღნიშნულ კვლევაში საკმაოდ მრავლადაა ამ ტიპის ფინანსები, როცა ერთი და იმავე ფიზიკური პირითან ასოცირებული სხვადასხვა იურიდიული კომპანიები აკეთებდნენ შეწირულობას სახელისუფლებო პარტიისათვის. აღნიშნული კარგი დადასტურებაა იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა „კანონის“ ფარგლებში თუმცა მაინც მისი გვერდის ავლით ახერხებდა ფინანსების მობილიზებას. საკმაოდ საინტერესო გახლდათ კიდევ ერთი ტენდენცია, პოლიტიკური გაერთიანებების შემოწირულობების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2007-2011 წლებში ნაციონალური მოძრაობა შემოწირულობას იღებდა ფიზიკური პირებისაგან, რომლებიც იმავდროულად სოციალურად დაუცველთა სტატუსით სარგებლობდნენ. რათქმაუნდა, აღნიშნული სტატუსი არ წარმოადგენს აკრძალვას და მათ შეუძლიათ ნებისმიერი ხასიათის დახმარება გასწიონ, თუმცა აღნიშნული ფაქტი ბადებს საკმაოდ დიდ ეჭვს, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უკან სხვა პირები იდგნენ. ის, რომ 2007-2011 წლებში სახელისუფლებო პარტიამ ყველაზე მეტი თანხა მიიღო, სჩანს იქედანაც, რომ ამ წლების განმავლობაში ამ პოლიტიკურმა ძალამ გასწია ყველაზე დიდი

[42] არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ (2012) საარჩევნო კამპანიის ფინანსების ანგარიში. იხ : https://www.transparency.ge/ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi წვდომის თარიღი 30.05.2019

დანახარჯი.[43] აღნიშნული ტენდეციები ნიშნავს, იმას, რომ იმ პერიოდის პოლიტიკურ ველზე ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ უპირატეს პოზიციაში იყო, იყენებდა რა, საკუთარ პოზიციას, იგი იღებდა საკმაოდ დიდ შემოსავალს ვიდრე სხვა პოლიტიკური პარტიები, რაც შემდგომში განსაზღვრავდა კიდეც არჩევნების შედეგებს.

ადმინისტრაციულ რესურსებზე საუბრისას აღსანიშნავია 2011 წელს გავრცელებული ინფორმაცია [44]რომლის თანახმადაც, შ.პ.ს „თბილსერვის“ ჯგუფში დასაქმებული ადამიანები, რეალურად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები იყვნენ. რაც ცალსახად სახელმწიფო რესურსების, პოლიტიკური მიზნით გამოყენებას გულისხმობს. სწორედ იმიტომ, რომ პოლიტიკური პარტიები არ არიან გამიჯნულნი ხელისუფლებისაგან. იმ წლებში ნაციონალური მოძრაობა კარგად, იყენებდა სახელმწიფო რესურსებს, რათა უზრუნველეყო, საკუთარი პარტიული აქტივისათვის ფინანსური ხარჯების გაღება. ის, რომ პოლიტიკური პარტია ფლობდა ამ ტიპის უპირატესობას სხვა საარჩევნო სუბიექტებთან შედარებით, აშკარად დიდ ზეგავლენას ახდენდა არჩევნების შედეგებზე და აძლიერებდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დომინანტურ პოზიციას. სახელისუფლებო პარტიის უპირატეს პოზიციაზე საუბრისას საინტერესოა 2010 წლის კვლევის შედეგების ანალიზიც, რომელიც „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ მიერ იქნა მომზადებული. [45] ანგარიშში განხილულია 2010 წლის პოლიტიკურ პარტიათა ფინანსები, მათი თავისებურებანი და ხარჯვის ტენდენციები. აღნიშნულის თანახმად 2007-2010 წლებში მმართველი პარტიის წინასაარჩევნო დაფინანსება (ბიუჯეტიდან) მინიმუმ შვიდჯერ (2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები) და მაქსიმუმ ოცდაექვსჯერ (2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები) აღემატებოდა ყველა სხვა საარჩევნო სუბიექტების

---

[43] „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“(2012) - საარჩევნო კამპანიის ფინანსების ანალიზი. იხ: https://www.transparency.ge/ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi გვ. 25-26. წვდომის თარიღი 07.06.2019

[44] „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“(2012) - საარჩევნო კამპანიის ფინანსების ანალიზი. იხ: https://www.transparency.ge/ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi გვ 28-29. წვდომის თარიღი 07.06.2019

[45] ციტირებულია, წყარო :„საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ (2011) იხ. კვლევა: http://www.transparency.ge/sites/default/files/Political%20Parties%20in%20Georgia%2C%20Issue%20of%20Party%20Financing-Geo.pdf

დაფინანსებათა ჯამს. (რეფერენსი). ამ ფაქტს ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ პერიოდში ნაციონალური მოძრაობა ფლობდა ხელისუფლების ყველა შტოს, მის დაქვემდებარებაში იყო ყველა სახელმწიფო ინსტიტუტები, შესაბამისად იგი თვალს ხუჭავდა ყველა გადაცდომაზე და კარგად იყენებდა უპირატეს პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში საკმაოდ ეფექტური იყო, ჩემი აზრით იმ ტიპის მხარდაჭერა სწორედ სახელმწიფო რესურსების თუ სხვა ფინანსური წყაროების არათანაზომიერებით იყო განპირობებული. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური პარტია და სახელმწიფო თითქმის შეზრდილი იყო ერთმანეთთან, წინასაარჩევნო პერიოდში კი ერთიანი ძალებით მუშაობით ეს პოლიტიკური პარტია, კარგად იმყარებდა საკუთარ ძალაუფლებას. როგორც ვხედავთ, იმ პერიოდის პოლიტიკურ პარტიათა ინსტიტუციონალიზაცია საკმაოდ სუსტი იყო. პოლიტიკურ ასპარეზზე ერთი რომელიმე ძალა ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით უსწრებდა სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებს, რაც თავის მხრივ ამ ძალის დომინანტურ პოზიციებს ამყარებდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის, ფინანსების მოზიდვა სხვა პარტიებთან შედარებით, საბიუჯეტო სახსრებით პარტიული აქტივის დაფინანსება და კანონის გვერდის ავლით, საეჭვო წარმომავლობის თანხების არჩევნებში გამოყენება, სწორედ ეს იყო ის ძირითადი გარემოებანი, რომლითაც ნაციონალური მოძრაობა იმარჯვებდა 2003-2012 წლის, თითქმის ყველა არჩევნებში დამაჯერებლად. ცალსახად ფაქტია ის, რომ ფინანსური რესურსების არათანაზომიერი განაწილება დიდ უპირატესობას და ამავდროულად დომინანტურ სტატუსს ანიჭებდა, სახელისუფლებო პოლიტიკურ პარტიას.

2012 წელს ხელისუფლების, ცვლილების შემდეგ, მმართველი კოალიციის ლიდერად ბიძინა ივანიშვილი იქნა მოვლენილი. ყველაზე მდიდარი ქართველის პოლიტიკაში ჩართვა, ეჭვს ბადებდა საზოგადოების სკეპტიკურად განწყობილ ნაწილში. ფაქტია, რომ 2012 წლიდან დღემდე მიუხედავად მრავალი პოლიტიკური შეცდომისა, რომელიც სახელისუფლებო პარტიამ დაუშვა, იგი დამაჯერებლად ახერხებს ყველა არჩევნებში გამარჯვებას, რაც ჩემი აზრით, სხვა მიზეზებთან ერთად, ფინანსური სიძლიერითაცაა განპირობებული. 2012-2014 წლებში სხვადასხვა ფინანსური ანგარიშების, მიხედვით არ

იკვეთება სერიოზული ტიპის ფინანსური დარღვევები ქართული ოცნების მხრიდან. თუმცა 2014 წელს პირველად თვითმართველობის არჩევნებში ქართული ოცნების ხელისუფლება იწყებს, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მთელ კასკადს. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ქართული ოცნების ხელისუფლებამ, არჩევნებამდე ორი დღით ადრე გაზარდა 13 მუნიციპალიტეტისათვის საბიუჯეტო პროექტების დაფინანსება. ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახთა რაოდენობა, ლაპარაკია იმაზე, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა სხვადასხვა ოჯახებისათვის მანამდე არარსებული სტატუსის მინიჭება. 2014 წელს წინასაარჩევნო პერიოდში გაჩნდა რამდენიმე სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც საარჩევნოდ იყო მოტივირებული, მაგალითისათვის ფინანსური დახმარების მიღება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. და პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ . [46] 2014 წელს ქართული ოცნება კარგად იყენებს მის სახელისუფლებო პოზიციას. მის ხელთ არსებული ადმინისტრაციულ -ფინანსური რესურსებით , იგი ცდილობს, წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის გარკვეული სეგმენტის ფინანსურ დახმარებას და საარჩევნო ხმების მოპოვებას. ნათელია ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ ქართულ ოცნებას ჰქონდა, რადგან იგი წარმოადგენდა სახელისუფლებო პარტიას. შესაბამისად ამ კონკრეტულ არჩევნებში კონკურენცია ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა ჯანსაღი, რადგან იმთავითვე გამოჩნდა არათანაბარი სასტარტო პირობები არჩევნების წინ.

როგორც წესი, სახელისუფლებო ინსტიტუტები აქტიურდებიან წინა საარჩევნო პერიოდში, სხვადასხვა ინსტიტუციოური მექანიზმებით, ისინი ცდილობენ ამომრჩევლის ხმების „ყიდვას“ ერთჯერადი დახმარების სანაცვლოდ. 2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე „პოზიტიური“ პროგრამის განხორციელება დაიწყო. ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ თითოეული მათგანის განხორციელება

[46] საქართველოს ხელისუფლების მიერ 2014 წელს ინიცირებული პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. ინფორმაციისთვის იხილეთ : www.enterprisegeorgia.gov.ge/ka

დაიწყო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. 2016 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც ამარტივებდა მიწის რეგისტრაციას და მას მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდიდა.. მოქალაქეებს მიეცათ უფლება საკმაოდ მარტივად, დაემტკიცებინათ წარსულში თვითნებურად მითვისებული მიწის ნაკვეთები, პროცედურის საფასური კი სრულიად მოიხსნა. აღნიშნული პროცესი დაიწყო არჩევნებამდე სამი თვით ადრე, რაც წინასაარჩევნო პროცესში სახელისუფლებო რესურსების გამოყენების რეალურ ეჭვებს ბადებდა. 2016 წელს, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, გურჯაანის მუნიციპალიტეტში დამტკიცებული იქნა ახალი სოციალური პროგრამა, [47]რომელიც მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის შიგნით მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფინანსურ დახმარებას. აბიტურიენტები, რომლებიც მაღალ შედეგებს აჩვენებდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში, უპირობოდ მიიღებდნენ დახმარებას მუნიციპალიტეტის მხრიდან. აგრეთვე 500 ლარიანი ვაუჩერი გადაეცა 20 საუკეთესო შედეგის მქონე აბიტურიენტს, შემდგომში სწავლის დასაფინანსებლად. საერთო ჯამში პროგრამისათვის 1 249 000 ლარი გამოიყო [48]. რათქმაუნდა ხელისუფლების ერთ-ერთ ვალდებულებას მისი მოქალაქეებისათვის ღირსეული ცხოვრების შექმნა წარმოადგენს შესაბამისი განათლების მიღებაც, ერთ-ერთი მთავარია. თუმცა ის, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, აღნიშნული ვალდებულება მხოლოდ წინასაარჩევნო პროცესში ახსენდებათ, აჩენს ეჭვს, რომ იგი ერთჯერადი აქტია და გამიზნულია ამომრჩევლის გარკვეული ნაწილის ხმების მოსაპოვებლად.

2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ბიუჯეტის შინაარსობრივი ცვლილებები განხორციელდა. ადგილობრივი ხელისუფლების მიზანი იყო 2016 წლის ბიუჯეტი იმგვარად გაენაწილებინათ, რომ მომხდარიყო ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვება, რაც არჩევნებზე სახელისუფლებო პარტიის მხადამჭერთა ზრდას გამოიწვევდა. რათქმაუნდა აღნიშნული ფორმალურად არ

---

[47] ადამიანის უფლებათა ცენტრი (2016) – „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი“

[48] იხ. ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამაზე „ცხოვრება გრძელდება“ . ვრცლად : https://gyla.ge/ge/post/premieris-iniciativa-ckhovreba-grdzeldeba-partiuli-da-sakhelmtsifo-resursebs-shors-aucilebel-zghvars-bundovans-khdis წვდომის თარიღი 11.06.2019

ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონმდებლობას, თუმცა ის, რომ იგი წინასარჩევნო კამპანიას ემთხვევა დროში, უკვე შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნოდ გამოყენების მცდელობას. ადგილობრივ დონეზე, ხელისუფლების წარმომადგენლები წინასაარჩევნო პერიოდში ცდილობენ პრიორიტეტების გადასინჯვას. მაგალითისათივს 2016 წელს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა ბიუჯეტის პრიორიტეტებად დაასახელა ინფრასტრუქტურული პროექტები, გზების მშენებლობა, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების და საგზაო მოძრაობის მარეგულირებლების მოწესრიგება. მაშინ როცა, იმავე ადგილობრივ ხელისუფლებებისათვის 2015 წელს (არასაარჩევნო წელს) პრიორიტეტებად თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჰქონდა მიჩნეული. [49]

ქართული ოცნების, პოლიტიკური პარტია საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი დამფუძვნებელი, იმავდროულად ყველაზე მდიდარი ქართველია. შესაბამისად ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში ხშირია საუბარი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი წარმოადგენს ოლიგარქს, რომელსაც ძალაუფლება ფინანსური სტაბილურობისა და გაზრდისათვის ესაჭიროება. ის, რომ გარდა ადმინისტრაციული რესურსისა ქართული ოცნება კარგად იყენებს ბიძინა ივანიშვილის ფინანსურ რესურსებს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საკმაოდ ნათელი გახდა უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს. 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში, სახელისუფლებო პარტიამ მხარი დაუჭირა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას. არჩევნების დაწყებისთანავე გამოჩნდა, რომ სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკურად სუსტი კანდიდატი იყო, ამას ემატებოდა საზოგადოების დიდი ნაწილის იმედგაცრუება ქართული ოცნების ხელისუფლებისადმი. მიუხედავად პოლიტიკურ - ეკონომიკური გარემოსა და მხარდაჭერილი კანდიდატის სისუსტისა, ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმარა, რათა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას გაემარჯვებინა. ფინანსური რესურსების მნიშვნელობის თვალსაზრისით აღნიშნული არჩევნები იყო კლასიკური მაგალითი იმისა, რომ მიუხედავად კანდიდატის

[49] ციტირებულია, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ (2016) – „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი“ გვ 30-32

სისუსტისა, მძლავრი ფინანსების არსებობის შემთხვევაში ის, მაინც შეიძლება გახდეს გამარჯვებული.

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მოსახლეობის მხარდაჭერა იმგვარად განაწილდა, რომ საჭირო გახდა მეორე ტურის გამართვა. მეორე ტურში გადავიდა ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილი სალომე ზურაბიშვილი და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი გრიგოლ ვაშაძე. სწორედ აქედან იწყება ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები. მეორე ტურის დანიშვნლის შემდეგ 2018 წლის 19 ნოემბერს ბანკი ქართუს მიერ დაანონსებული იქნა უპრეცედენტო პროგრამა,[50] რომელიც 600 000 საქართველოს მოქალაქისათვის პრობლემური სესხის განულებას ითვალისწინებდა. ჯამში მილიარდნახევარი ლარის ფინანსური ვალდებულება იქნა განულებული. ცალსახად ცხადია ის, რომ პრობლემური სესხების დიდი ნაწილი საკმაოდ მძიმე ტვირთად ეწვა მოსახლეობას და აღნიშნული ერთგვარი შემამსუბუქებელი გარემოება აღმოჩნდა. თუმცა არჩევნების პირველი ტურში არასასურველი შედეგის და მეორე ტურამდე ორი კვირით ადრე ასეთი ნაბიჯის გადადგმა ცალსახად მიუთითებს წინასაარჩევნო მანიპულაციაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვებას, ფინანსური ან მატერიალური რესურსის სანაცვლოდ. გარდა ამისა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო მცდელობა ამომრჩევლის პირდაპირი მოსყიდვისა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ მომზადებულ ანგარიშში [51]ვკითხულობთ, რომ არჩევნების მიმდინარეობისას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ადგილი ჰქონდა სალომე ზურაბიშვილისათვის ხმის მიცემის სანაცვლოდ გარკვეული თანხის შეთავაზებას. პარალელურად ორგანიზაციის დამკვირვებელთა გადმოცემით, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში ხდებოდა მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტის დარიგება ქართული ოცნების შტაბებიდან. აღსანიშნავია ის, რომ პირველი ტურის შემდეგ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს

[50] „ქართუ ჯგუფის“ და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი პროგრამა (2018) - ვრცლად იხ : www.vali.ge

[51] იხ : http://old.isfed.ge/main/1452/geo/ წვდომის თარიღი 11.07.2019

საუბარი სოციალური ვალდებულებებს გაზრდის შესახებ. მასშტაბური სახე მიიღო ახალი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების ინიცირებამ. აღნიშნული შემთხვევა ცალსახად წარმოადგენს წინასაარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯებს, რომელიც თავისი არსით სამიზნე აუდიტორიის კეთილგანწყობის მოპოვებისათვის იქნა გაცხადებული.

ნაშრომის ამ ნაწილში საუბარია იმაზე, თუ როგორ ხდებოდა სახელისუფლებო პარტიების მხრიდან, საკუთარი პოზიციების და ძალაუფლების გამოყენება, არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად. როდესაც ვსაუბრობთ, პოლიტიკურ პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციაზე, მისი მაღალი ხარისხის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კონკურენტური გარემოს არსებობა, სისტემის შემადგენელ სუბიექტებს შორის. მაშინ, როცა სახელისუფლებო პარტია იყენებს საკუთარ ძალაუფლებას, ადმინისტრაციული თუ ფინანსური რესურსების სახით, პრაქტიკულად შეუძლებელია საუბარი თანაბარ სასტარტო პირობებზე. იგი გულისხმობს, რომ პოლიტიკურ პარტიული სისტემა მუშაობს არაეფექტურად და სახელისუფლებო ძალას შესაძლებლობას აძლევს გაიმყაროს საკუთარი დომინანტური პოზიციები.

დასკვნა

მიმდინარე ნაშრომი, შექმნილია საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სისტემის ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული საკითხისადმი ჩემი ინტერესი განაპირობა პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობამ დემოკრატიულ საზოგადოებებში. ვფიქრობ, რომ პოლიტიკურ პარტიათა პრობლემატიკის საფუძვლიანი კვლევა არის ფუნდამენტი დემოკრატიის შენების პროცესში. ჩემი მიზანი იყო დამედგინა, საქართველოში, პარტიული სისტემის სუსტი ინსტიტუციონალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს დომინანტური სისტემის ჩამოყალიბებას.

კვლევამ აჩვენა რომ, საქართველოში პოლიტიკურ პარტიული სისტემა საკმაოდ სუსტია და გარკვეული დეფექტები ახასიათებს. თავის მხრივ კი, სისტემის გაუმართაობა კარგი ნიადაგია, კონკრეტული პოლიტიკური ძალებისათვის, მოიპოვონ და შემდგომში

განიმტკიცონ დომინანტური სტატუსი. იმისათვის, რომ პოლიტიკურმა სისტემამ გამართულად იმუშავოს იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს. სწორედ ამ კრიტერიუმების ანალიზმა მომცა საფუძველი გამომეკვეთა ოთხი ძირითადი პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია ქართული პარტიული სისტემისათვის. კვლევის შედეგის თანახმად, ქართულ რეალობაში პერსონიფიცირების საკითხი, კომუნიკაციის არარსებობა (როგორც სისტემის შიგნით ისე გარე დონეზე) კლასიკური იდეოლოგიებისადმი უპატივცემულობა და პარტიული ფინანსები არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ასუსტებს პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციას, რაც თავის მხრივ განაპირობებს, დომინანტური სისტემის შექმნას.

ნებისმიერი სისტემის სწორად ფუნქციონირებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია მისი საფუძვლიანი კვლევა, პრობლემათა იდენტიფიცირება და შემდგომში მასზე მუშაობა, სამომავლო გაუმჯობესებისათვის. გამომდინარე ჩემი კვლევის პრაქტიკაში განხორციელების პოტენციალიდან, იგი იქნება კარგი საშუალება პოლიტიკური პარტიებისათვის შექმნან უკეთესი სისტემა, რაც თავის მხრივ გააჯანსაღებს პოლიტიკურ ცხოვრებას საქართველოში.

ბიბლიოგრაფია

1) ალვარო სკოლბახი, გია ნოდია (2006) – „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“., მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტის გამომცემლობა
2) ზურაბიშვილი, თ. (2006) - თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი CSS “
3) სტივენ ჯონსი (2012) – „საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ“,. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გამომცემლობა (2013)
4) „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ (2016) , „ანგარიში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ანგარიში“.
5) „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ - ანგარიშები (2011) (2012) (2014) (2016) (2018). https://transparency.ge
6) „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (2018). 2018 წლის საპარლამენტო არჩევნების ანგარიში იხ : http://old.isfed.ge/main/1452/geo/

7) Anthony Downs (1957) – “An economic theory of democracy” Cambridge University Press,. გვ 145-148
8) Birch, Sarah (2001) – “Electoral systems and party systems in Europe East and West” Cambridge University Press,. გვ 107
9) Bolleyer, Nicole (2014) – “New Parties in old party system” ,. გვ 338
10) Dahl, Robert A. (1966) “Political Oppositions in Western Democracies. New Haven” Yale University Press
11) Dunleavy, Patrick, and Françoise Broucek (2003) ‘Constructing the number of parties’, Party Politics. Oxford University press
12) Duverger, M. (1964) – “Political parties - Their organization and activity in the modern state”
13) Frank J. So Rauf and Paul Allen Beck, (1988) „Party Politics in America“ (14 edition) New York science center (2008)

14) Herman's, F.A. (1941) Democracy or Anarchy: A Study in Proportional Representation. Notre Dame, IN: The Review of Politics, University of Notre Dame

15) Howard A. scar row, Parties, (1983) – "Elections and Representation in the State of New York"

16) Hugh Sidney, A conversation with Reagan (September 3, 1984)

17) John H. Aldrich, (1995) – "why parties" VU. University Press

18) Johnson, J. B, (2006) – "Political science research methods" (seventh edition)

19) Joseph A, Schlesinger (1991) – "political parties and the winning of office

20) Leon D, Epstein (1986) – "Political parties in the American Mold" UW Press

21) Levitsky, Steven (1998): Institutionalization and Peronism, in: Party Politics

22) Lijphart, A. (1971) – "Comparative politics and comparative method" Washington D.C: American political science association.

23) Lipset, Seymour Martin (2000): The Indispensability of Political Parties, in: Journal of Democracy, ȣ 48-55.

24) Mainwaring, Scott (1998): Party Systems in the Third Wave, in: Journal of Democracy, pp. 57-81.

25) Mainwaring, Scott / Scully, Timothy (1995), Building Democratic Institutions: Party Systems in Latin America, Stanford: Stanford University Press,

26) Mainwaring, Scott / Scully, Timothy (1995): Introduction: Party Systems in Latin America

27) North, Douglas (1993): Institutions and Credible Commitment, in: Journal of Institutional and Theoretical Economics, pp. 11-23.

28) Sartor, Giovanni (1966) "European political parties" NJ: Princeton University Press

29) Schattschneider (1941) – "Party government in the united states"

30) Suttner, R, (2006), Party Dominance Theory : of what value ȣ 277-297

31) V.O. Key, (1964) – "Politics, Parties and Pressure groups"

ინტერნეტ-წყაროები

http://fes.ge/geo/images/Fes_Files/2010-GEO/report%20pp.pdf

http://unm.ge/

http://www.cesko.ge/files/Documents/PDF/saxeli/daskvnebi_29_ivlisi.pdf

http://www.civil.ge/geo/article.php?id=24968

http://www.interpressnews.ge/ge/politika/344945-saqarthveloshi-didi-britanethis-saelcho-elchis-aleqsandra-hol-holis-ganmartebas-avrcelebs.html?ar=A

http://www.newpress.ge/politikuri-partiebis-dafinanseba-gasul-wels

http://www.partiebi.ge

http://www.tabula.ge/ge/story/57202-3-lariani-vaucherebi-soflis-meurneobistvis

http://www.tavisupleba.mobi/a/24489936.

http://www.transparency.ge/node/1268

http://www.transparency.ge/sites/default/files/Political%20Parties%20in%20Georgia%2C%20Issue%20of%20Party%20Financing-Geo.pdf

https://www.napr.gov.ge

https://www.girchi.ge

http://europeangeorgia.ge/

http://GD.ge

http://radiotavisupleba.ge/

დანართი N1

სადისკუსიო გეგმა

1) თქვენი სახელი, გვარი, პროფესია და საქმიანობის სფერო?
2) როგორ ფიქრობთ, დემოკრატიის პროცესში როგორია პოლიტიკურ პარტიათა მნიშვნელობა?
3) როგორ შეაფასებდით, საქართველოს პოლიტიკურ პარტიულ სისტემას?
4) თქვენთვის რას გულისხმობს კარგად ინსტიტუციონალიზებული პარტიულიული სისტემა და რა მახასიათებლები უნდა გააჩნდეს მას?
5) თქვენი აზრით, რა კავშირშია პარტიული სისტემის სუსტი ინსტიტუციონალიზაცია დომინანტურ სისტემასთან?
6) შეგიძლიათ დაასახელოთ რამდენიმე საკითხი, რომელიც პრობლემატურია ქართული პოლიტიკური პარტიებისათვის?
7) თქვენი აზრით რამდენად რეალურად ხდება პოლიტიკურ პარტიათა პერსონიფიცირება საქართველოში?
8) როგორ ფიქრობთ რამდენად ითვალისწინებს ამომრჩეველი ლიდერს, როგორც პერსონას არჩევანის გაკეთებისას?
9) როგორ შეაფასებდით, პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებს, რამდენად შესაბამისობაშია იგი კლასიკურ იდეოლოგიებთან.
10) თქვენი აზრით, საქართველოში. ამომრჩევლისათვის რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პარტიათა პროგრამები, არჩევანის გაკეთებისას?
11) როგორ შეაფასებდით პოლიტიკურ კომუნიკაციას, პოლიტიკურ პარტიებს შორის?
12) რას იტყვით კომუნიკაციაზე, ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიას შორის?
13) როგორ შეაფასებდით პოლიტიკურ პარტიათა ფინანსურ პოლიტიკას საქართველოში?
14) რამდენად ახდენს ფინანსური რესურსები გავლენას, ქართულ პოლიტიკაში?
15) თქვენი რეკომენდაცია